



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ნომერი
(ქილავა)
№10 (384)
(5774)
2013

„מנורה“

עיתון יהודי

בגוריה

მოგილოცავთ ხანუქის დღესასწაულს!



დღეს ჩვენი ქვეყნის ებრაელი მოქალაქეები მთელ ებრაულ სამყაროსთან ერთად ხანუქას — კურთხევისა და განახლების ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავენ. სულითა და გულით ვულოცავ ამ შესანიშნავ დღეს და ვუერთდები მათ ზეიმს.

ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა ათასწლეულებით იზომება და ხალხთა შორის ძმობის უპრეცედენტო მაგალითს წარმოადგენს. ქართველი ებრაელები დაუღალავად იღწვიან ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის და ამით საკუთარი ხალხის სიდიადეს განამტკიცებენ.

მშვიდობას, კეთილდღეობას და ბედნიერებას ვუსურვებ ჩვენს ებრაელ თანამემამულეებსა და მათ ოჯახებს.

გიორგი მარბველაშვილი
საქართველოს პრეზიდენტი

27 ნოემბერს თბილისის დიდ ბეთ ქნესეთში გაიმართა ხანუქის სანთლების ანთების ცერემონიალი, საქართველოს მთავარმა რაბინმა ავიშია ბათაშვილმა პირველი სანთლის ასანთებად მიიწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი. პრემიერ-მინისტრმა სანთლის ანთების შემდეგ თქვა:

ეს უძველესი დღესასწაული არის სიმბოლო სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების, სამართლიანობის უსამართლობაზე გამარჯვების. ებრაელი ხალხის მიერ დანთებული სანთელი სიკეთის, რწმენის, ბედნიერების მომტანია. მინდა, ამ სანთელს ჩვენ ხალხს შორის სიკეთე მოეტანოს. ებრაელი ხალხი გამორჩეულია ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, მოთმინების უნარით. ისინი სამაგალითონი არიან მთელი მსოფლიოსთვის. მათ დაამტკიცეს, თუ როგორ შეიძლება, მცირე ერმა ამხელა განსაცდელს გაუძლოს და ბრძოლიდან გამოვიდეს გამარჯვებული. მათი ბრძოლა აღვსილია რწმენითა და პატრიოტიზმით.

მთავარმა რაბინმა პრემიერს საჩუქრად შანდალი გადასცა. სინაგოგაში პრემიერ-მინისტრთან ერთად ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი იმყოფებოდნენ.

სიტყვები წარმოთქვეს ისრაელის ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა, თბილისის დიდი ბეთ ქნესეთის გაბაიმ მერაბ ჩანჩალაშვილმა და პროფესორმა მერაბ სარელმა (იზრაელაშვილი). ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ცაში აიჭრა ფოიერვერკი.

საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია

მეტი სიქაპრისათვის

ოქტომბერში საქართველოში ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა გამოავლინა ქართველი ხალხის ნება – პრეზიდენტად არჩეული იქნა, ბიძინა ივანიშვილის ბლოკ „ქართული ოცნების“ კანდიდატი, 44 წლის ფილოსოფოსი **გიორგი მარგველაშვილი**.



17 ნოემბერს თბილისში, ამჟამად უმოქმედო პარლამენტის ეზოში გაიმართა პრეზიდენტის ფიცის დადების – ინაუგურაციის ცერემონია.

პრეზიდენტმა გ. მარგველაშვილმა ფიცის დადების შემდეგ წარმოსთქვა ერთობ შთამბეჭდავი სიტყვა, რის შემდეგაც პრეზიდენტი – სახელმწიფოს მთავარსარდალი მიესალმა საჯარისო ნაწილებს.

სალამოს კი შ. რუსთაველის თეატრში გაიმართა ინაუგურაციისადმი მიძღვნილი კონცერტი, ხოლო მოგვიანებით — დარბაზობა, რომელზეც პრეზიდენტმა გ. მარგველაშვილმა ისაუბრა საქართველოს ხვალისდელ დღეზე.

ინაუგურაციას ესწრებოდნენ მრავალი სახელმწიფოს დელეგაციები, დიპლომატიური კორპუსი, პოლიტიკოსები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

როგორც რედაქციისათვის გახდა ცნობილი, ამ საზეიმო ღონისძიებისათვის ისრაელის ქართველ ებრაელთა თემიდან მონაწილეობა მიიღო **შლომ დავიდი** – გამორჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ხუთნიგნეულის, მეფე დავითის თეილიმის (ფსალმუნების) და სხვა წმინდა წიგნების მთარგმნელი.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს

მარტვილის რაიონის სოფ. ბანძაში დაბადებული და დაკაცებული, ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაფანტული ქართველი ებრაელები, გულითად მადლობას მოგახსენებთ ჩვენი მშობლიური სალოცავის აღდგენა-შეკეთებისათვის.

მართალია, ზოგიერთი ჩვენგანი საქართველოდან შორს ვცხოვრობთ, გვერნმუნეთ, საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებას ვადევნებთ თვალს და გვახარებს მისი ბოლოდროინდელი გამარჯვებები.

ჩვენ ერთხელ კიდევ გავიზარეთ, თუ როგორ ღირსეულად უცხოვრია ქართველი ებრაელობის მრავალ თაობას საქართველოში, რის გამოხატულებასაც ვხედავთ ქართველების ტოლერანტობაში და თქვენს წარმოუდგენლად მნიშვნელოვან ქვემოქმედებაში. თქვენ ბანძის, სენაკის, ფოთისა და სხვა სინაგოგების შეკეთებით, ახლად შთაბერეთ სული ქართველებისა და ებრაელების ძმობას, სიყვარულს და ერთგულებას. ჩვენ სენაკელების, ფოთელებისა და სხვათა მაგიერ ვერაფერს ვიტყვით — ისინი სათქმელს თვითონ იტყვიან. ჩვენ კი, ბანძელები, უღრმეს მადლობას გიხდით იმისათვის, რომ ჩვენი საყვარელი სალოცავი ასე უნაკლოდ და კარგად შეგვიკეთეთ და დაგვიმშვენეთ.

მხურვალე მადლობა გვინდა ვუთხრათ ბატონ ზურაბ ხვედელიძეს — მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ყოველივე მაღალ დონეზე შესრულებულიყო. მადლობა მას ასეთი თავდადებისათვის.

ერნმუნეთ ჩვენს გულწრფელობას.

პატივისცემით:

- 1) **ფილსაზ აზიაშვილი** — ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის დამფუძნებელი — ისრაელი, ქ. კირიათათა
- 2) **მაიკლ ბენჯი (აზიაშვილი)** — კანადა, ტორონტო
- 3) **ლევან და ზურა აზიაშვილები** — მოსკოვი
- 4) **მიხაელ შალვაშვილი** — ისრაელი, ქ. ბათ-იამი
- 5) **სიმონ აზიაშვილი** — ისრაელი, ქ. ბათ-იამი
- 6) **დავით, სოლომონ, შალვა აზიაშვილები** — ისრაელი, ქ. კირიათ-ათა
- 7) **ქეთევან მებრალიშვილი**, ფიზიკოსი, ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი — თბილისი
- 8) **ზურაბ მარგალიშვილი**, არქიტექტორი — ქ. მოსკოვი
- 9) **მოსე-საიმ აზიაშვილი** — თბილისი
- 10) **ნოდარ (მენაშე) ადარი** — აშშ. ქ. ნიუ-იორკი
- 11) **გერმონ აზიაშვილი** — ისრაელი, ქ. ხულონი
- 12) **ბენადი აზიაშვილი** — ისრაელი, ქ. რიშონ-ლეციონი
- 13) **სოსო (იოსებ) აზიაშვილი** — თბილისი

როინ მებრალი — საქართველოს მუხნიეკაბათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი



ამასწინათ გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება, კრებამ აირჩია ახალი ვიცე-პრეზიდენტები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკადემიკოსი როინ მებრალი. ჩვენი გაზეთის მკითხველს შევახსენებთ, რომ ბ-ნი როინ მებრალი გახლავთ ებრაელობის დიდი მეგობარი, მან ღვაწლი დასდო საქართველოს ებრაელობის ისტორიის შესწავლას, მის კალამს ეკუთვნის დიდი სიყვარულით დანერგილი წიგნი „ებრაელები საქართველოში“. როინ მებრალი რამდენიმე წელიწადია ღირსეულად უძღვება საქართველოს ისრაელის მეგობრობის საზოგადოებას.

ლეილა თეთრუაშვილის გახსენება

12 ოქტომბერს ჩინებული საკრებულო შეიკრიბა ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში. აქ მოვიდნენ ქართული სიტყვიერების მკვლევარნი რათა პატივი მიეცათ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ლეილა თეთრუაშვილის ნათელი ხსოვნისათვის.

ლეილა თეთრუაშვილი გახლდათ ერთი ჩინებული წარმომადგენელი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისა, მისი აზროვნების, გამოკვლევათა სტილი სწორედ რომ მეცნიერების თანამედროვე საზოგადო სტილისტიკაში გახლდათ მოქცეული. სწორედ ამაზე საუბრობდნენ ელ. ახვლედიანის სახლ-მუზეუმში შეკრებილი მისი ღვაწლის თაყვანისმცემლები: ლია თავყრელიძე, თამარ ნუცუბიძე, მანანა ტუსკია, მანანა ლალიძე, ნესტან სულავა, პოეტი შარლოტა კვანტალიანი, მწერლები ემზარ კვიციანი, გურამ ბათიაშვილი.

სალამო მიჰყავდა მეცნიერის მეგობარს — მედეა ჯანაშვილს.

ემზარ კვიციანიშვილი ახლოვლის წლისთავი

(ლეილა თეთრუაშვილის ხსოვნას)
სილოთა კი. ტრადი, მკუდრო, ბანანი მისა. შენი ტანს ტვირთებმა ტაბაბისინა.

კვლარ გამოქცევა, ვერ ტაძისუბ ზას... მარბადავს კერ ტახსუნებ, კერს შეხვები ტასს.

წკლიადა ტანა, ბედის რაჯ დატყვის კელი... შარბან ად დროს, აქ დატოვე ტახუნული, სელი.

12 მარტი, 2008

მუნიციპალური

არჩევნები ისრაელში

22 ოქტომბერს ისრაელში ჩატარდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ირჩევდნენ ქალაქების მერს, ვიცე-მერებს და საბჭოების რიგით წევრებს.

ისრაელის ქართველ ებრაელთაგან ქალაქის მერობისათვის არცერთი კანდიდატი არ იბრძოდა. ქალაქის ვიცე-მერად გახდომის სურვილი კვლავ ამოძრავებდა **შაბთაი ცურს (აშკალონი)**, მაგრამ სურვილი ამო გამოდგა — იგი მუნიციპალიტეტის რიგითი წევრი გახდა.

საქალაქო საბჭოს წევრები გახდნენ **მოსე ბოთრაშვილი (აშდოდი)**, **რაფი კატაშვილი (ლოდი)** და **გაბი აზრაშიშვილი (რამლა)**.

სასიამოვნოა, რომ ისრაელის ადგილობრივ არჩევნებში გამოჩნდნენ ახალი სახეები: თუ შ. ცური და მ.ბოთერაშვილი უკვე მერამდენედ ხდებიან საბჭოების წევრები, რაფი კატაშვილი და გაბი აზრაშიშვილი პირველად ლეზულობენ ხალხის ნდობას.

არჩეულთ მივულოცავთ წარმატებას და იმედს გამოვთქვამთ, რომ მათი არჩევა გააუმჯობესებს მათივე ელექტორატის მდგომარეობას.

ხელისუფლება ბიით ძნესით

15 სექტემბერს, შაბათის შემობრძანების წინ, თბილისის ორივე ბიით ქნესეთებს — ქართველ ებრაელთა სინაგოგასა და „ბიით რახელს“ თბილისის კრწანისის რაიონის გამგებელი ხათუნა ბერძენიშვილი და მისი მოადგილე ენვიგენი.

დიდი ბიით ქნესეთის გაბაიმ **მირაზ ჩანჩალაშვილმა** ჯამაათს მოახსენა:

— კრწანისის რაიონის გამგეობა, რომლის ტერიტორიაზეც გახლავთ განლაგებული ჩვენი ბიით ქნესეთები, ყურადღებას იჩენს ჩვენს მიმართ. ამასწინათ გამგეობამ ფულადი დახმარებაც აღმოგვიჩინა. ცხადია, ეს დახმარება ხელს შეუწყობს ჩვენი ჯამაათის რელიგიური მისწრაფებების დაკმაყოფილებას.

გამგეობის სახელით ჯამაათს ესაუბრა გამგებლის მოადგილე, რომელმაც აღნიშნა, რომ გამგეობა მზად არის დაეხმაროს ბიით ქნესეთს ყველა საჭირო შემთხვევაში:

— თქვენ შეგიძლიათ თამამად მოგვმართოთ, თუ ამის აუცილებლობას იგრძნობთ.

რამ აღგაუფლოთ, გატონგო?

ანუ როგორ დამიდასტურას აღფრთოვანება გ. ლამაზიძემ, ე. მამისთვალაშვილმა, ზ. დავარაშვილმა, შ. ნინუაშვილმა, თ. მახარაშვილმა, დ. ბაღაშვილმა, ნ. შარია, მიხ. ჭიანჭყალიძე, მ. კრიხალიძე, გ. კუპატაძემ, ე. სალიანიძემ, შ. ბაბაძემ და ს. ჭიჭიანიძემ, რომ საკითხი სწორად დავსვი.

სალ აზრს აღფრთოვანება გადაუჭრა გზა, თუ ჭიჭიანიძეებზე თვალის დახუჭვა მათი სტილია?!

უცნაური და გაუგებარია: მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე წერილი მიმეწერა საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის, რომელსაც უაღრეს პატივისცემე – მან თბილისი თანამედროვე სევეტიცხოვლით – სამების ეკლესიით დაამშვენა, ახალი სივრცეებით შეაბერა თეატრალურ ნაგებობებს. მისი საზოგადოებრივი, ფინანსური მდგომარეობის ადამიანები ასეთ თავგანწირულ ნაბიჯებს არ დგამენ, მან კი 2011 წ. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისიის შემცველი განცხადება გააკეთა და მიზნისაკენ ნაბიჯი გადადგა. 2012 წ. ქართველმა ხალხმა თავის ლიდერად აღიარა. აი, ამ დღეებში კი — 2013-ის ნოემბერში, მსოფლიოს დემოკრატიის ახალი სამანები უჩვენა. ხოლო რაც შეეხება ქართულ-ებრაულ ურთიერთობას, ქართველსიუზერენტა ებრაელობისადმი დამოკიდებულება ახალ სიმაღლეზე აყვავდა. აი, ამგვარ პიროვნებას მივწერე წერილი, რადგან შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საკითხი მის წინაშე არასწორად, ტენდენციურად დასვეს. და თუ ჩნდება ეჭვი, თუ საკითხი სათუო ხდება, რატომ არა მაქვს უფლება მოსაზრება გავუზიარო ასეთ პიროვნებას. ეს წერილი არცერთ გაზეთში არ დამიბეჭდავს, არც საიუბილეო კომისიის წევრებისა და „დინტერესებული პირებისათვის“ გამიგზავნიდა და ამ გამოუქვეყნებელი წერილის გამო საინიციატივო ჯგუფი ქვეყნიერებას აუწყებს, რომ დავწერე აღმამოთებელი წერილი, რადგან ცუდი საქმეები მიკეთებია და ა.შ.

პრემიერ-მინისტრისადმი მიწერილი ჩემი გამოუქვეყნებელი წერილი როგორ, რატომ არის მორის კრიხალისა, თუ ზაირა დავარაშვილის, გურამ კუპატაძის, თ. მახარაშვილის, დ. ბაღაშვილის განხილვის საგანი. ეს უკანასკნელი ხომ თავის სამსახურებრივ მოვალეობად ჩემს წინააღმდეგ მიმართულ ყოველ წერილზე ხელმოწერას მიიჩნევს. ვერ ვირწმუნებ, რომ გაბრიელ მირილაშვილმა დაავალა „შენ მხოლოდ ბათიაშვილის განმარტებული წერილები შენი ძვირფასი ხელმოწერით დაამშვენე, კონგრესი ამ სამსახურს დაგიფასებსო“.

მაგრამ ასეა თუ ისე, ეხებოდათ, თუ არა, საინიციატივო ჯგუფმა თავს უფლება მისცა, ადამიანი თითქმის გამოწვევილი ბრალდებით კიდევ ერთხელ „შეამკოს“ და ჩემს მიერ პრემიერ-მინისტრისადმი გაგზავნილი წერილის გამო, ნიუ-იორკში გამომაველ გაზეთ „დავიტის ფარში“, №217, გვ.11, მეპასუხებინა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს: ხუხაშვილს სწავლია ხმაური, აურზაური. ამ ტალღაზე მან ბევრი რამ მოიპოვა.

განვიხილოთ რამ აღაშფოთა საინიციატივო ჯგუფი.დავინყოთ პირველივე ფრაზით: **„გაგაცნობთ საინიციატივო ჯგუფის აზრს 2014 წელს ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს“** აღნიშვნასთან დაკავშირებით, **მწერალ გურამ ბათიაშვილის მიერ კომისიის ხელმძღვანელების სახელზე გაგზავნილი აღმამოთებელი წერილის თაობაზე“**.

ჯერ ის ვიკითხოთ, თუ რის საინიციატივო ჯგუფია ეს? რა არის ამ ჯგუფის მიზანი, რისთვის გაერთიანდნენ?

ამ საინიციატივო ჯგუფს სხვა არა-რა საქმე არ უკეთებია, გარდა, გ. ბათიაშვილის განმარტებული წერილების შეთხზვისა და ხელმოწერისა. ამდენად მას შეიძლება გ. ბათიაშვილის წინააღმდეგ ბრძოლის საინიციატივო ჯგუფი, ან გ. ბათიაშვილის სახელისა და ღირსების შელახვის ღონისძიებათა შემომუშავებელი საინიციატივო ჯგუფი ეწოდოს.

შემდეგ: მე კომისიის ხელმძღვანელობისათვის არა-რა წერილი არ გამოგზავნია. მე წერილი გავუგზავნე საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ვინაც გამოსცა ბრძანება (№237, 2012 წლის 10 ივლისი). კომისიას, გინა მის ხელმძღვანელობას, წერილს როგორ გავუგზავნიდი: ხუხაშვილმა ხომ ეს კომისია იმ ადამიანებით დააკომპლექტა (ცხადია, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს, ქ-ნ მ.ლორთქიფანიძეს და ბ-ნ ჯ.სეფიაშვილს არ ვგულისხმობ), რომლებიც დაუზარლად ანერენ ხელს ხუხაშვილის მიერ ჩემს წინააღმდეგ შედგენილ პეტიციებს. გნებავთ, შეადარეთ: ამ კომისიაში ნახავთ ხუხაშვილის პეტიციებზე ნაცად ხელისმომწერლებს ებრაელობამ „სწრაფი რეაგირების ხელისმომწერლები“ რომ შეარქვა.

იმისათვის რომ დარწმუნდეთ, თუ რა უკეთებიათ, რა ამოძრავებთ ამ საინიციატივო ჯგუფის წევრებს, გავეცნოთ მათს საქმეებს. საქმე ხომ ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ადამიანის (ადამიანების ჯგუფის) რა-

ბას. რასაკვირველია, ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, მათ ბევრი რამ ქმნეს, შევეცდები ნაწილი მაინც წარმოგიდგინოთ:

საინიციატივო ჯგუფის წევრები (16 ადამიანი) ხუხაშვილის მეთაურობით, მიდიან კ. მარჯანიშვილის თეატრში და მოითხოვენ შეწყვიტეთ მუშაობა გ. ბათიაშვილის პიესაზე. თეატრს აღუქვამენ: თუ ბათიაშვილის პიესის რეპეტიციებს არ შეწყვეტთ, პრემიერაზე არზაურს ავტყობთ, ჩაგიშლითო.

საინიციატივო ჯგუფის წევრები მიდიან ბ-ნი გივი სიხარულიძის რადიოგადაცემაში და მთელი საათის განმავლობაში ქართველ რადიომსმენელს ჩასჩიჩინებენ, თუ რაოდენ ქვეყნის დამაქცევარია გურამ ბათიაშვილი. ისინი გ. სიხარულიძის შეძახილმაც: „ახლა ნუ გაუტივთ!“ ვერ დააცხრო.

საინიციატივო ჯგუფის წევრი მესენგისერი, შესაძლებლად მიიჩნევს გ. ბათიაშვილის ჩაქოლვას.

საინიციატივო ჯგუფი, ცხადია, ხუხაშვილის მეთაურობით, 2012 წლის 19 მაისს მართავს პრესკონფერენციას და გ. ბათიაშვილს ბრალს სდებს პლაგიატში, საქართველოს დადანიშნულებაში – გ. ბათიაშვილი წერს თითქოს საქართველოში ანტი-სემიტობაში მძვინვარებდესო. საღამოს ყველა სატელევიზიო არხით მთელ საქართველოს, უცხოეთში მცხოვრებ ქართველობას, ეუწყა ეს ამბავი.

საინიციატივო ჯგუფის წევრები ავსებენ სატელევიზიო არხ „ობიექტივის“ ეთერს და მის მრავალრიცხოვან მაყურებელს საქართველოსა, თუ უცხოეთში, ესაუბრებიან გ. ბათიაშვილის საქართველოსადმი მტრობაზე, პლაგიატობაზე.

ჯ. ხუხაშვილი ლამის ანიოკებს ლიტერატურული პრემია „საბას“ (როცა ჩემი პიესა ჟიურის მიერ „შორტ-ლისტი“ იქნა შეტანილი, ე.ი. საპრემიოდ გახლდათ დასახელებული), ჩვენ – ებრაელებმა ბათიაშვილს ანათემა გამოვუცხადეთ, პრემია არ მისცეთო.

ჯ. ხუხაშვილი ქართველ მწერლებს შორის დარბის, ბათიაშვილის წინააღმდეგ მიმართულ პეტიციაზე ხელი მომიწერეთო. როცა მწერლები უარს ეუბნებიან, მობილური ტელეფონით უმაღ იერუსალიმში რეკავს — იქედან იმველებს ავტორიტეტს. მიუხედავად ამისა, არცერთმა ჭეშმარიტმა მწერალმა ხელი არ მოუწერა. მოხალისე ხელისმომწერ „აკადემიკოსებს“, მოლექსეებს კი რა გამოლევს. ამათ ისიც უხარიათ, გაზეთის ფურცლებზე ჩემი გვარი გამოჩნდება, მეზობელი ტელეეკრანზე დამინახავსო.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა აატალახეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების კარი. მიდიან პეტიციებით გ. ბათიაშვილი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის თანამდებობიდან მოხსენითო.

საინიციატივო ჯგუფი პეტიციით მიმართავს საქართველოს მწერალთა კავშირს გ. ბათიაშვილი მწერალთა კავშირიდან გარიცხეთო(ხელისმომწერთა შორის პოეტის შვილი და თავადაც პოეზიის ნიშნით დაღდაპული ერეკლე სალიანი გახლავთ. მე ეს ფაქტი სამარცხვინოდ მიმანჩნია, ალბათ, თავად სხვა აზრისა და ამიტომაც თხოულობს მწერალთა კავშირიდან ჩემს გარიცხვას.30-იანი წლების შემდეგ მწერალს მწერლის კავშირიდან გარიცხვა არ მოუთხოვია.)

ჯ. ხუხაშვილი, საინიციატივო ჯგუფის სახელით, თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელობას არ ასვენებს: გ. ბათიაშვილს კოტე მარჯანიშვილის პრემიას ნუ ანიჭებთო.

საინიციატივო ჯგუფის წევრი დ. ჭელიძე კოტე მარჯანიშვილის პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრ პროფესორ ვასილ კიკნაძეს მოუწოდებს არ დაუჭიროს მხარი გ. ბათიაშვილისათვის კ.მარჯანიშვილის პრემიის მინიჭებას. ვ. კიკნაძის შეკითხვაზე „რას ერჩით ბათიაშვილს, რა გინდათ მისგან?“დ. ჭელიძემ აშკარა გახადა ამათი მიზანი და ბრძოლის ხერხები: „გადადგეს საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარის თანამდებობიდან და არაფერს ვერჩით.“აი, რისთვის წამოიწყო ეს ავანტიურა ხუხაშვილმა!

საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ხუხაშვილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს ანიოკებს თეატრისა და კინოს მუზეუმში ქართულ-ებრაული მეგობრობის ამსახველი გამოფენის — „ათასწლოვანი მეგობრობა“ გახსნისას ბათიაშვილი გამომსვლელთა სიაში რატომ არის, სიტყვა არ მისცეთო.

საინიციატივო ჯგუფის წევრი კვანტალიანი გაზეთის ფურცლებიდან იმუქრება: ერთი სული მაქვს ბა-

თიაშვილს როდის მივტყეპავო.

საინიციატივო ჯგუფის წევრი კვანტალიანი იმავე გაზეთის ფურცლებზე აცხადებს ბათიაშვილი წავიდეს ამ ქალაქიდანო.

ხუხაშვილი „ალიას“ ფურცლებზე აცხადებს ბათიაშვილი ისრაელში ამბობდა შევარდნადის მეგობარი ვარ და ხალხისგან ფულს იღებდაო.

შარშან აშშ-ს რუსულენოვანი ებრაული გაზეთ „ფორუმის“ რედაქციამ ინტერვიუ მთხოვა. ვესაუბრე საქართველოზე, მის ებრაელობაზე. ინტერვიუ დაიბეჭდა. **ხუხაშვილი ნიუ-იორკში** მისწვდა გაზეთის რედაქტორს, ერთი ალიაქოთი აუტყება: ბათიაშვილთან ინტერვიუს როგორ ბეჭდავო.

საინიციატივო ჯგუფმა, ხუხაშვილმა მსოფლიოს ებრაულ ორგანიზაციებს საქართველოს ებრაელობა ნეგატიური სახით წარუდგინა. ხუხაშვილმა ასეთი სამსახური აი, როგორ გაუწია თავის ხალხსა და ქვეყანას: მსოფლიოს ებრაული ორგანიზაციები ხშირად მიწვევენ სხვადასხვა სახის თავყრილობაზე. ხუხაშვილმა თავისი სატელეფონო ზარებით, თქვენთვის უკვე ნაცნობი საინიციატივო ჯგუფის წერილებით, როგორც იტყვიან, ააწიოკა ეს ორგანიზაციები: ბათიაშვილს რატომ ინვევთ, ბათიაშვილი ასეთი და ასეთიაო.

საინიციატივო ჯგუფი, ხუხაშვილი: ჩემს მოკრძალებულ პერსონას სპეციალურ გაზეთს უძღვნის — სისტემატურად სცემს გაზეთს „ობიექტივში“ რომელშიც არაფერი არ დაბეჭდილა გარდა, გ. ბათიაშვილის განმარტებული წერილებისა. ისეთი ეპიტეტებით მამკობენ, საქართველოს ლალატში ისე ჰაიპარად მდებენ ბრალს, თითქოს წერდნენ ბათიაშვილს ერთი ვაშლი უნდა ეჭამა და ორი შემოეჭამაო.

ხუხაშვილი ქორწილებში, გასვენებებზე, კონცერტებზე, დაბადების დღეებსა, თუ საზოგადო შეკრებებებზე ამ გაზეთებით მიდის და ხალხს ურიგებს, აი, ნახეთ, ნაიკითხეთ ვინ არისო ბათიაშვილი. ჩემს სამეზობლოშიც კი ჩამოურთიგებია.

აი, ასეთია იმ საინიციატივო ჯგუფის, მოღვაწეობის მცირე ნუსხა, რომელიც ჩემს წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ ოპუსს, ამჯერად პრემიერ-მინისტრისადმი მიწერილი წერილის გამო აცხობს.

ეს საინიციატივო ჯგუფი შექმნა და ხელმძღვანელობს ჯ. ხუხაშვილი.

„დავიტის ფარში“ ამ ცოდვაში ფეხჩადგმული საინიციატივო ჯგუფის წერილს მიუზღუბუნდეთ:

რაოდენ ზედაპირულად უნდა აზროვნებდე, რაოდენ შორსგაუხედავი უნდა იყო, რომ დანერო: **„ამ დიდი ეროვნული ღონისძიებების თაობაზე გ. ბათიაშვილის წერილის საფუძველთა საფუძველი უჩემოდ რად იმღერეთა“-ს სუბიექტური დამოკიდებულება** ე.ი. ბათიაშვილმა პრემიერ-მინისტრს წერილი იმიტომ გაუგზავნა, რომ თავად არ არის შეყვანილი საიუბილეო კომისიაში, ჩვენ რას გავანყოთ, ბათიაშვილმა თვითონ მოიქცია თავი იზოლაციაშიო. როცა მოვლენებს, ფაქტებს ღრმად არ აანალიზებ, როცა შენი ყოველი ქმედება მხოლოდ პირადულიდან მომდინარეობს, სწორედ ასე დანერო—სხვაგვარად შეუძლებელია!

უნდა ვიყო, რასაკვირველია, უნდა ვიყო კომისიაში! დიდებული ქართულ-ებრაული ურთიერთობის წარმოჩენისა და ქართველი ებრაელობის ღირსებისათვის მებრძოლი ყოველი მოღვაწე უნდა იყოს ამ კომისიაში. მითუმეტეს, თუ ამ ურთიერთობაზე უწერია პიესები, რომანები, პუბლიცისტიკა. ეს ხუხაშვილმაც კარგად იცის, ისიც იცის, რომ ჩვენს დროში პიარი ძლიერ ფასობს. ამიტომ დაახვავა ამდენი ცრუბრალდება, ჩამითრია ყალბი დაპირისპირების ბინძურ ჭაობში, რათა ამ ბრძოლის ფონზე როგორც ამასწინათ ერთმა გონიერმა კაცმა მითხრა, მოეხდინა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა გამგებლის პრეზატივიზება, ამიტომ ბათიაშვილი უნდა წარმოესახა საქართველოს მოღალატედ, ისრაელის მტრად და კიდევ ვინ იცის, რად!

ამ კაცს ერთ ნიჭს ნამდვილად ვერ წაართმევ: ჩინებულად ეხერხება იმ ადამიანებთან დაახლოება, დამეგობრებაც კი, ვინც **დღეს საჭიროდ მიაჩნია**, თორემ რა საერთო მქონდა ჯ. ხუხაშვილთან — სპორტით ძალიან ვარ გატაცებული-მეთქი ვერ დავიკვებნი. დღეს ჩემი ბიოგრაფიის სამარცხვინო ფურცლად მიმაჩნია ხუხაშვილთან ურთიერთობის წლები. რას ვიფიქრებდი, თუ ერთ დღეს აიჩემებდა: რატომ არის ბათიაშვილი საქართველოს ებრაელობის ლიდერი, მსოფლიოს ებრაულ სტრუქტურებში მე უნდა ვიყო

მინსკის გაბოღან ებრაელთა განთავისუფლების დღესასწაული

20-22 ოქტომბერს მინსკში გაიმართა მემორიალური ღონისძიებები მიძღვნილი მინსკის გეტოს იავარყოფის 70-ე წლისთავისადმი. ღონისძიებების ორგანიზატორი გახლდათ ბელორუსიის ებრაული ორგანიზაციებისა და რელიგიური საზოგადოებების კავშირი მისი თავმჯდომარის, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრის ბატონი ლეონიდ ლევიჩის მეთაურობით.

გეტოს მოკლე ისტორია: მინსკის გეტო, საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხუთი უდიდესი გეტოდან ყველაზე დიდი იყო. მან 28 თვე იარსება (1941 წლის ივლისი - 1943 წლის ოქტომბერი). დანარჩენი — გეტოებიდან (ლოვოსის, ვილენის (ვილნიუსის), კოვენის (კაუნასის), გეტოებისაგან თავისი მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა. მინსკის მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობით (80-85 ათ. ადამიანი, ხოლო დასავლეთ ევროპულ ებრაელთა დაანგარიშებით — 100-110 ათ. ადამიანი) ის ცოტათი თუ განსხვავდებოდა ლოვოსის გეტოსაგან, რომელიც მესამე იყო აღმოსავლეთ ევროპაში თავისი სიდიდით (ვარშავისა და ლოდის გეტოებთან შედარებით). აქ მარტო ბელორუსიის ტერიტორიებიდან დევნილი ებრაელები კი არ იყო თავმოყრილი, არამედ 25 ათასამდე ებრაელმა გერმანიიდან, ავსტრიიდან და ჩეხოსლოვაკიიდან გაიარა ეს გეტო. უნდა აღინიშნოს, რომ 1942 წლის აგვისტოსათვის მინსკის გეტოში რჩებოდა 6500-მდე ადამიანი, მათ შორის -2100 დასავლეთევროპელი ებრაელი.

მინსკის გეტო სხვა გეტოებიდან არა მარტო რიცხოვნობით გამოირჩეოდა. ასე მაგალითად: გერმანელთა დამაჯვარი აქციების ჩატარებისას, გეტოს მაცხოვრებლებს სტრატეგიული გეზი ადებული ჰქონდათ არა წინააღმდეგობის განეგაზე, არა აჯანყებაზე, როგორც ეს ვარშავის გეტოში მოხდა, არამედ ებრაელების ტყვეობაზე: პირველ რიგში ახალგაზრდა და ბრძოლისუნარიანი მაცხოვრებლების, შემდეგ - ყველა დანარჩენების, ვისაც კი ამის უნარი გააჩნდა. 10 000-მდე ამგვარად გადარჩენილი ადამიანი. დაახლოებით საერთო რიცხოვნობის - 10%. ვერცეით სხვა გეტო ვერ „დაიქანდა“ ასეთ მაჩვენებელს. ამის ხელშემწყობი ფაქტორები იყო: ბელორუსთა შედარებით ნაკლები ანტისემიტიზმი, ტყვეების დიდი რაოდენობა და სიმჭიდროვე, აქტიური პარტიზანული მოძრაობა. დიდი როლი ხალხის

გადარჩენაში ითამაშა იუდენრატის (ებრაელთა პოლიციის) პრინციპულმა პოზიციამ. იქ შეზავებული იყო როგორც გერმანელების მიერ მინიჭებული ფუნქციების აღსრულება, ასევე გათვალისწინებული წინააღმდეგობის გამწვანე მებრძოლების ინტერესები, რომელთა მომსახურებისათვის (დოკუმენტების მომზადება, ყალბად სიკვდილის გაფორმება, იარაღის მოპოვება, სამალავების შექმნა, ქალაქის იატაკქვეშეთთან და პარტიზანულ მოძრაობასთან კავშირის ორგანიზება) კეთდებოდა ყველაფერი შესაძლებელი და ზოგჯერ - შეუძლებელიც. ასე მაგალითად, იუდენრატის პირველ ორ თავმჯდომარეს ასეთი სახის დახმარება სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

ასეთია მოკლე მინსკის გეტოს ისტორია, რომლის განადგურების 70-ე წლისთავის აღსანიშნავად, მინსკში მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხიდან ჩავიდა ებრაელთა თემების უამრავი წარმომადგენელი, მათ შორის ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მრავალრიცხოვანი დელეგაცია, მისი პრეზიდენტის-რონალდ ლაუდერის მეთაურობით.

20 ოქტომბერს მინსკში გაიმართა ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მიერ ორგანიზებული თათბირი, სადაც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი. მისი წინადადებით მრავალი ქვეყნის ყველა წარმომადგენელს მიეცა საშუალება თავისი თემის საჭიროებების საკითხები წარმოეჩინა კონგრესის ხელმძღვანელობის წინაშე.

თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის წარმომადგენელი ბატონი უდი ბენ-ამი, რომელმაც აუწყა იქ დამსწრე საზოგადოებას, რომ ბატონი ვადიმ შულმანის (ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ამჟამინდელი პრეზიდენტი) მეთაურობით შეიქმნა ფონდი, რომლის მიზნებია:

1. ებრაელთა თემების - განსაკუთრებით ახალგაზრდობის, კულტურისა და ტრადიციების მხარდაჭერა;
 2. ჰოლოკოსტის ისტორიასა და მის ხსოვნაზე ზრუნვა;
 3. ებრაელთა თემების უშიშროების მხარდაჭერა;
 4. ანტისემიტიზმთან ბრძოლა;
 5. ებრაელთა თემების შიდა პოლიტიკის მხარდაჭერა.
- თათბირზე ებრაელთა მსოფლიო კონგრესის დელ-



ეგაციას ევრაზიის ებრაელთა კონგრესის სახელით მიესალმა გენერალური საბჭოს თავმჯდომარე ბატონი იოსებ ზისელსი. მან გააკეთა განცხადება, რომ ევრაზიის ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობაზე ავსტრიის უმსხვილეს კერძო „მაინლ ბანკის“ ხელმძღვანელობასთან. თანამშრომლობა ითვალისწინებს ებრაული თემების ფინანსურ და ევრაზიის თემთაშორის პროექტების მხარდაჭერას.

პირველი ტრანშის მიღება დაგეგმილია ოქტომბრის ბოლოსთვის, რომელიც ბანკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით განაწილდება სხვა და სხვა თემებზე, მათგან მიღებული მოთხოვნების შესაბამისად.

21 ოქტომბერს მემორიალურ კომპლექსთან „იამა“, რომელიც დაარსებულია ყოფილი მინსკის გეტოს ტერიტორიაზე, გაიმართა მიტინგი, რომლის დროსაც ევრაზიის ებრაელთა კონგრესის დამფუძნებელმა ალექსანდრ ბარონმა და ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოდან მიწვეულმა იოსებ მოშიაშვილმა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის სახელით, გვირგვინით შეამკეს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ძეგლი.

იოსებ მოშიაშვილი, თბილისის სინაგოგის — „ბეთი რახელ“ გაბაი

(მ-3 გვერდიდან. დასასრული)

და არა ევა, საქართველოს ხელისუფლება მე მენდობაო.

დაახ, უნდა ვიყო კომისიაში, მაგრამ არა ასეთ შემადგენლობაში. კომისიაში კი არა, მე იმ საკრებულოში მისვლაც არ მსურს, რომელშიც ხუხაშვილი იქნება. ეგ კომისია ხომ ხუხაშვილის თანამოაზრეობის პრინციპზეა აგებული. ძალიან დიდ პატივს ვცემ კომისიის წევრთა უმეტესობას — იმათ, კომისიაში ვისი ყოფნაც, ხუხაშვილზე არ იყო დამოკიდებული, მაგრამ კომისიის წინააღმდეგობა იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც „სწრაფი რეაგირების ხელისმომწერლებს“ ეძახიან. რასაკვირველია, ამ ადამიანების გვერდით ყოფნის არა-რა სურვილი არ მაქვს. ხოლო იმ კომისიაში ყოფნა, რომელიც 1997 წელს შეიქმნა, დიდ სიამოვნებას მგვრიდა და საამაყოდაც მიმაჩნდა. იმ კომისიის წევრები გამოჩენილი ქართველი და ებრაელი მეცნიერები, ხელოვანები გახლდნენ.

არა, ბატონებო, საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე ბათიაშვილის კომისიაში ყოფნა-არყოფნა! მეგობრობის იუბილეს იხდით და საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტს, დიდებულ მეცნიერს, ებრაელობაზე დანერვილი ჩინებული ნიგუნის („ებრაელები საქართველოში“) ავტორს — როინ მეტრეველს გვერდს უვლით, ზაირა დავარაშვილი კომისიაში გყავთ და საქართველოს ებრაელობის ისტორიის ავტორი, პროფესორი ელდარ მამისთვალისვილი, გნებავთ, ჩინებული მეცნიერი, ფუნდამენტური გამოკვლევების — „ბიბლიური არქეოლოგიის“ ერთ-ერთი ავტორი, ვინც ივ.ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ისრაელის კაბინეტს ხელმძღვანელობს — მეცნიერებთა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გაურად ლორთქიფანიძე „გავიწყდებათ“, მიხეილ ჭიაურელი კომისიაში გყავთ და ქართული ბიბლიესტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი პროფ. ზურაბ კიკნაძე ვერც შეამჩნიეთ.

ეს ჭეშმარიტი მოღვაწეები, ჭეშმარიტი მეცნიერები რომ კომისიაში შეგეყვანათ, ისინი ხომ პირველსავე სხდომაზე ბ-ნ პრემიერ-მინისტრს მოახსენებდნენ: ეს იუბილე ერთხელ უკვე გადავიხადეთ!

მაშინ თქვენ როგორ გაიჯეჯილებდით? და საიუბილეო ფონდსაც (!!!) ხომ ვერ შექმნიდით. ამიტომ არჩიეთ ბათიაშვილის წინააღმდეგ მიმართული

პეტიციებზე ხელმომწერთა ძირითადი ბირთვი: დავარაშვილი-ბალუაშვილი-ჭიაურელი და ა.შ.

ახლა კი მთავარი:
ბ-ნი პრემიერ-მინისტრისადმი მიწერილი ჩემი წერილის არსი გახლავთ შემდეგი: ქართველმა ხალხმა შესანიშნავად აღნიშნა 26 საუკუნოვანი თარიღი და მავანი არასწორ ინფორმაციას განვიდინ-მეთქი. აღუფოთებული საინიციატივო ჯგუფი მიდასტურებს: იუბილე კარგადაც გადავიხადეთ, იყო გამოფენები სამეცნიერო კონფერენცია, პუბლიკაციები, დაჯილდოებები, „მაგრამ“... ახლა დახეთ, როგორ, რა არგუმენტაციით უარყოფენ ჩემს მოსაზრებას და ამდენად აუცილებლად მიიჩნევენ იუბილეს ხელახლა გადახდას: **„მაგრამ არ იყო მთავარი — კვლავ აღუდგენელი, დანგრევის პირას იყო მისული ებრაული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლის თბილისის ე.წ. „გუმბათოვანი სინაგოგის“ შენობა (ანტონ კათალიკოსის ქ. 3)“.**

ვერიკა! აი, რა ყოფილა იუბილეს ხელმეორედ გადახდის მიზეზი.

ბატონებო, საინიციატივო ჯგუფის მუდამ ცვალებადო წევრებო, რაც ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს საქართველოში შენობა-ნაგებობებისათვის ახალი სიცოცხლე მიუნიჭებია, იმდენი იუბილე რომ გადაეხადა, სად წავიდოდით! თქვენ საბოლოოდ დამარწმუნეთ: საკითხი სწორად დავსვი, პრემიერ-მინისტრს წერილი რომ მივწერე, ცამდე მართალი ვიყავი. ჩემთვის უკვე აღარ არსებობს ძნელად პასუხგასაცემი შეკითხვა. თუ კიდევ შემეკითხებიან საქართველოში განმეორებით რატომ იხდაან ქართულ-ებრაული მეგობრობის იუბილესო, მე მაქვს პასუხი: იმიტომ რომ წინა იუბილე იყო ძალიან კარგი „მაგრამ არ იყო მთავარი — კვლავ აღუდგენელი, დანგრევის პირას იყო მისული ებრაული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლის...“

არ არის მიზეზი? ისიც მეჩვენება, რომ საინიციატივო ჯგუფი ვილაცას თვალეში ნაცარს აყრის და აი, როგორ:

1. ეს გუმბათოვანი სინაგოგა არ გახლავთ **„ებრაული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი“**. ამაში ილიად დარწმუნდებით, თუ ჩახედავთ ებრაული სინაგოგების, არქიტექტურის ალბომებს, სამეცნიერო ლიტერატურას.

2. როგორც 1998 წელს ღირსეულად გადახდილი

საიუბილეო კომისიის წევრი, ვაცხადებ: 1997-98 წლებში—საიუბილეოდ დღის წესრიგში არ იდგა ამ **„ებრაული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი“** რეკონსტრუქციის საკითხი. იმ წლებში ჩვენ — ქართული და ებრაული ინტელიგენციის წარმომადგენლები ვცდილობდით ებრაელობას დაბრუნებოდა პირველი მასის ქუჩაზე მდებარე სინაგოგა. აი, ჯამ-ლეტ ხუხაშვილი კი ებრაელებს შორის პეტიციით ხელში დარბოდა, ცდილობდა თბილისის ებრაული თემის წევრებს ხელი მოეწერათ: სინაგოგა არ გვჭირდება, სინაგოგა სხვას გადაეცეთო.


3. ახლა ის ვნახოთ ამ წერილზე ხელისმომწერნი როგორ აკნინებენ ქართული სახელმწიფოს ღვაწლს 26 საუკუნოვანი ურთიერთობის წარმოჩენის საქმეში: „იუბილე 16 წლით ადრე ჩატარდა და მას მომავალი ზუსტი თარიღის გენერალური რეპეტიცია (ხაზგასმა სწრაფი რეაგირების ხელისმომწერლებს ეკუთვნით) ეწოდება.“

ნუ აკნინებთ ასე გულითადად გადახდილი იუბილეს მნიშვნელობას. 1998 წელს ჩატარებული იუბილე არა-რა გენერალური რეპეტიცია არ ყოფილა. ეს გახლდათ დიდი სახალხო დღესასწაული — ჩინებული გამოვლინება ქართულ-ებრაული ურთიერთობისა. ჩემმა ხალხმა საქართველოში 2600 წელი ისე იცხოვრა, რომ ქართველმა ერმა — ამ უდიდესი კულტურის ერმა, ქართულ მინაზე მისი მოსვლის დღე დალოცა. თქვენ კი იმისათვის, რომ თქვენი ზრახვა გაამართლოთ, გენერალურ რეპეტიციას უწოდებთ. იქნებ, წარმოადგინოთ, რომელ დოკუმენტში ჩაინერა, რომ ეს იყო გენერალური რეპეტიცია და არა გულითადად გამოვლინება მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა.

P.S. მიმანიშნებენ, რომ ეს ტექსტი გივი ლამბაშიძემ დაწერა. გ. ლამბაშიძე ჩემზე წერისას ბრჭყალებში მოაქცევს სიტყვებს „მწერალი“, „ებრაელი“. მასთან ერთობ კეთილი ურთიერთობა მაკავშირებდა, ამიტომ არც მას, არც თავს არ ვაკადრებ შევასხენო მისივე დაბეჭდილი, თუ წარმოთქმული სიტყვები ჩემზე, როგორც მწერალსა და ებრაელზე. გივის წინდახედულ კაცად ვიცნობდი და დღეს საფიქრალი გამიჩნდა: რა უნდა იყოს ასეთი ამნეზიის მიზეზი?

ამაზეც ვიფიქრებ. **გურამ ბათიაშვილი**

რუბრიკას უძღვება პროფესორი
აბთაძის ნიკოლოზი



შალვა დადიანის (1874-1959) შემოქმედებაში ებრაულ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვამდე რამდენიმე სიტყვა იმ ურთიერთობის შესახებ მინდა ვთქვა, რომელიც მწერალს ქართველ ებრაელებთან აკავშირებდა. როგორც შ. დადიანის ბიოგრაფიდანაც ცნობილი, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მან ბევრი რამ გააკეთა ქართველ ებრაელთა ეროვნული თვითშეგნების განსამტკიცებლად და სულიერი კულტურის განსავითარებლად. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის საქმიანი ურთიერთობა, რომელიც მას ცნობილ ებრაელ მწერალთან და თეატრალურ მოღვაწესთან გერცელ ბააზოვთან აკავშირებდა.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით აქ პირველ ყოვლისა, ის წერილები მინდა გავიხსენო, რომელიც გერცელ ბააზოვს გაუგზავნია თბილისიდან 1925 წელს მოსკოვში მყოფი შალვა დადიანისათვის. ამ წერილებიდან ნათლად ჩანს ის აქტიური თანადგომა, რომელსაც იმხანად უკვე ფართოდ ცნობილი და საქვეყნოდ აღიარებული ქართველი მამულიშვილი საქართველოში ებრაული თეატრის შესაქმნელად იჩენდა.

1925 წლის 22 იანვარს გაგზავნილ წერილში გ. ბააზოვი შ. დადიანს, როგორც „ქართველ ებრაელთა ერთ-ერთ გულშემმატივარს“ (გერცელის სიტყვებით), სიხარულით აუწყებს იმ ამბავს, რომ „საქართველოს ებრაელობაში მოხდა ის „გარდატეხა“, რომლის შესახებაც მათ ხშირად ჰქონიათ ბაასი“. როგორც დამონებულ ფრაგმენტში ნახვარის სიტყვა „ხშირად“ ადასტურებს, ქართველ ებრაელთა საჭირობებზე საკითხებით შ. დადიანის დაინტერესება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა და საქართველოში ყოფნის პერიოდში მწერალი ბევრ რაიმეს აკეთებდა მათ მოსაგვარებლად. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ გ. ბააზოვმა საქართველოს ებრაელობაში მომხდარი „გარდატეხის“ ამბავი არა მარტო უზრუნველყო აცნობა იმხანად მოსკოვში მყოფი უფროს მეგობარს, არამედ პრაქტიკული დახმარებაც თხოვა მათ მიერ ნამოწმებული საქმის მოსაგვარებლად.

კერძოდ, გ. ბააზოვის ინფორმაციით, ქართველი ებრაელების მიერ 1925 წლის იანვარში შექმნილმა თეატრალურმა კოლექტივმა „კადიმამ“ მასწავლებელს უკვე წარუდგინა თავისი „ენერგიული მუშაობის“ პირველი შედეგი – მეკლერის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი. გარდა ამისა, გერცელი თავის უფროს მეგობარს მათი თეატრალური დასის მიერ სცენაზე დასადგმელად შერჩეულ სხვა პიესებსაც უსახელებს და უდიდეს სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველ ებრაელთა შორისაც აღმოჩნდნენ „უნიჭიერესი ახალგაზრდები, რომელთაც სჭირიათ გაკვალიერება და კარგი ხელმძღვანელები“. როგორც ხსენებული წერილიდან ვგებულობთ, დრამატულ დასს რეჟისორობას უნებურად დოლო ანთაძე, რომელსაც „დიდი ენერჯია დაუხარჯავს სრულიად გამოუწვრთნელი მსახიობების გასაყვარებლად“.

იმისათვის, რომ ახლადშექმნილი თეატრალური კოლექტივის პროფესული დონე კიდევ უფრო მეტად აემაღლებინა, გ. ბააზოვი შეეცადა რეალურად ესარგებლა მოსკოვში შ. დადიანის ყოფნით და მისი დახმარებით მეგობრებთან ერთად წასულიყო იქ რუსული თეატრალური ხელოვნების სიახლეთა გასაცნობად. გერცელი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ შალვა მის ამ მოთხოვნას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა და აქტიურად დაეხმარებოდა მოსკოვში ჩასვლასთან დაკავშირებული „ტექნიკური საკითხების“ რეალურად მოგვარებაში.

ებრაელობისადმი შ. დადიანის ღრმად პატივისცემულური დამოკიდებულება მის მხატვრულ შემოქმედებაშიც გამოვლინდა. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა მისი ფართოდ ცნობილი რომანის – „გვირგვილიანების ოჯახის“ ერთ-ერთი კოლორიტული პერსონაჟი – ბანძელი ვაჭარი ბენოია მინდა გავიხსენო. იგი იმ ებრაელი მწერლისგან ვაჭრების განზოგადებული ლიტერატურული ტიპია, რომელიც მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ყოფის სისხლხორცულ ნაწილს წარმოადგენდნენ. ასეთ მოვაჭრებს მაშინ ხშირად შეხვდებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა

ებრაული თემა ქართულ მწერლობაში

შალვა დადიანი


(წარული მითხუთებით)

კუთხეში. ყოველდღიური მოხმარების საქონლის გასაყვად და დღენიადგ სოფელ-სოფელ მოსიარულე ეს ვაჭრები იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმპერიისთვის, რომ მათმა მხატვრულმა სახეობამ არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში პოვეს კოლორიტული შთამბეჭდაობით ასახვა. შ. დადიანის ბენოია მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა, სახასიათო ნიშან-თვისებებით მკვეთრად გამოირჩეული პერსონაჟი.

შ. დადიანს თავისი პერსონაჟი უდიდესი ადამიანური სითბოთი და სიყვარულით ჰყავს დახატული, რაც რომანში მისი პირველი გამოჩენისთანავე ხდება აშკარად საცნაური. ავტორის თქმით, ბენოია „სრულიად არ ჰგავდა მწერლისმანეს. ჯერ ერთი, მოყვანილობითაც ახოვანი და კარგი შესახედი იყო და თითქოს სულ არ უხდებოდა კურტიანი ცხენით სიარული და ფართო და გუნდა-ლახუსტაკით ვაჭრობა. ამას ხშირად პირშიაც ეუბნებოდნენ და ისიც გულიანად ხარხარებდა“.

იუმორის გრძობა ბენოიას პიროვნულ კეთილშობილებას კიდევ უფრო ზრდიდა და ხალხს მის მიმართ მეტი სიყვარულითა და პატივისცემით განწყობდა. მისდამი ამგვარი დამოკიდებულების განმაპირობებელი საფუძველი უპირველეს ყოვლისა მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ ბენოიას „ნაკლებად ახლდა ჩარჩი ვაჭრის წუნურაქობა. ის გულლია იყო და ფართო გაქანების ადამიანი. სოფელში რომ შემოდოდა, სხვებივით არ გაჰყვიროდა „სანვრიმალო, სანვრიმალო“, ან „ფართალი, ფართალი“. ის მხიარული სახით, სიცილითა და ხუმრობით ეგებებოდა შეხვედრილებს და ეს უკანასკნელნი უკვე მთელ სოფელს მოსდებდნენ ბენოიას მოსვლის ამბავს“.

ბენოია ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მას



გასაყვად ჩატანულ საქონელთან ერთად „ყოველ სოფელში სიძლიერეცა და კმაყოფილების გრძობაც შეჰქონდა, რომ ყოველ არშინ ფართალში მყიდველისათვის მას ბედნიერება მოჰქონდა. ამიტომ იყო თვითონ მხიარული, მოციხარი და ცოტა მორობროხე მოლაპარაკე“.

საპასუხო სითბოსა და სიყვარულს ბენოია ხალხშიც უხვად პოულობდა. იგი სოფლებში იმიტომაც უყვარდათ, რომ არც მეძვირე იყო და არც ჭინჭყლი ვაჭარი. „ნისიაც უხვად იცოდა. მარათალია, შემდგომში თუ ფულად არა, სიმინდით მაინც ახდევინებდა, მაგრამ თუ უჭირდა ვინმეს გადახდა, კიდევ ადროვებდა და შეწუხებით არ შეაწუხებდა“.

წარმოებებიდან ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, თითქოს ბენოია ვაჭარზე მეტად ქველმოქმედი და ვაჭირვებულთა შემწე-განმკითხველი იყო. მწერლის თქმით, ბენოიას თავის წმინდა მოვალეობად პირველ ყოვლისა ქვრივ-ობლების ოჯახებში მისვლა და მათთვის ხელის გამართვა მიაჩნდა. ბენოიასათვის ამგვარი სიკეთის გამოჩენა ჩვეულებრივი ამბავი იყო, მისი სულიერი მოთხოვნისა და არა ვინმეს დასახად და თავის მოსაწონებლად ჩადენილი ქველმოქმედება. მაგალითად, ერთ-ერთ ღარიბ ოჯახში მისული ბენოია ქვრივ დიასახლისს ფართალს, მიუხედავად მისი უარისა, ამ სიტყვებით დაუტოვებს: „არაფერია, არაფერი“, მე დაგიტოვებ და „ღმერთი დიდია, ღარიბი, გული ნუ შეგიშინდება“. ეს ჩემმა ბიჭმა მასწავლა, სადღაც წიგნში ამოუკითხავს – თან კურტიდან გარდიგადმო გადაებული ორი ფუთა ჩამოიღო და ხელში დაჭერილი ხის ყუთიც იქვე დირეზე ჩამოდო... შენ კარგად იყავი, ქალო, წლეულს სიმინდი ხომ მოგივა, იმაში გამოგობრი“.

ეს ქვრივი დედაკაცი გამოწვევის სულაც არ ყოფილა და მსგავს მზრუნველობას და გულთბილობას ბენოია ყველას მიმართ იჩენდა, რაც მისი ადამიანური კეთილშობილებისა და კაცთმოყვარეობის ბუნებრივ და

ძალდაუტანებელ გამოვლინებას წარმოადგენდა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მისი ადამიანური სიკეთის ასეთი გამოხატვით შ. დადიანი არა მარტო ბენოიას პიროვნულ ბუნებას წარმოაჩენდა, არამედ იმავდროულად მთელი ებრაელი ხალხისადმი თავის ღრმად პატივისცემულ დამოკიდებულებასაც ავლენდა განზოგადებული ფორმით.

ბევრი ვაჭრისათვის სრულად უცხო და უჩვეულო სწორედ ამ თვისებების შედეგი იყო ის ფაქტი, რომ ბენოია ყველგან განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა და ხალხი მას „ღეთისნიერად ადამიანად“ მიიჩნევდა. რომანის ერთ-ერთმა მთავარმა პერსონაჟმა კი ბენოიას „თეთრი ყორანიც“ უწოდა სიყვარულით, რადგანაც თვლიდა, რომ „როგორც თეთრი ყორანი არავის უნახავს, ისე ბენოიასთანავე ვაჭარიც ჯერ არავის გაუგონიაო“.

მწერლის დახასიათებით, ასეთი იყო ეს „სულ სხვანაირად ნაჭედი ადამიანი“. როგორც დამონებულ ფრაგმენტებშიც ნათლად ჩანს, შ. დადიანი სიყვარულსა და პატივისცემას არ იშურებს მისი პიროვნული ბუნების გამოსაქანდაკებლად. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, რომ თავისი პერსონაჟისადმი ავტორის ამგვარ დამოკიდებულებას მხოლოდ მისი მხატვრული სახის ინდივიდუალიზებული წარმოსახვის მცდელობა კი არ ედო საფუძველად, არამედ უწინარეს ყოვლისა ის დიდი პატივისცემა და კეთილგანწყობილება, რითაც შ. დადიანი საზოგადოდ მთელი ებრაელობისადმი იყო განწყობილი.

„გვირგვილიანების ოჯახი“ არა მარტო ებრაელ პერსონაჟთა ფრაგმენტული სახეებით იქცევს მკითხველის ყურადღებას, არამედ ქართველ ებრაელთა ყოფისათვის საზოგადოდ დამახასიათებელ სპეციფიკურ მხარეთა წარმოჩენის თვალსაზრისითაც. მაგალითად, მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველი ებრაელობის ერთ-ერთი ძირითადი სამკვიდრების – სოფელ ბანძის შესახებ მწერალი ასეთ ინფორმაციას გვანდის: „ბანძის თან ახლდა ერთი უბანი ეგრეთ წოდებული ურიაკარი, რომლის მოსახლეობასაც ერთპირად ებრაელობა შეადგენდა, ვაჭრობდა და ალებ-მიცემობდა. ეს ურიაკარი იყო ბერთემელების ნაცნობი ბენოიას სამშობლო“.

ურიაკარში ყოველკვირაობით ეწყობოდა ბაზრობა, სადაც არამცთუ ბანძელები, არამედ ახლომხლო სოფლებიდანაც მოდიოდნენ და ჰყიდდნენ თავიანთ მონაგარს... სამაგიეროდ ებრაელობისაგან იქედნენ საკაბეებს, საახალუხეებს, ნალებს, სავარცხლებს, ქინძისთავეებს, აბრეშუმის თავზე მოსახვევებს და სხვა ამგვარებს... ამისთანების შექმნა მხოლოდ ებრაელებთან შეიძლებოდა“.

„გვირგვილიანების ოჯახში“ ებრაელთა ქართულ წარმომავლებთან დაკავშირებით ქართული და ებრაული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გავრცელებულმა თვალსაზრისმაც პოვა სათანადო ასახვა. როგორც ცნობილია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მე-20 საუკუნის ათიანი წლების ქართულ პრესაში საკმაოდ მწვევე დისკუსიაც კი გაიმართა ამ თვალსაზრისის მომხრეებსა და მონინაღმდეგეებს შორის. ამ დისკუსიაში მაშინ ბევრმა ქართველმა და ებრაელმა მიიღო აქტიური მონაწილეობა. ქართველთა და ებრაელთა ერთი ნაწილის აზრით, საქართველოში მცხოვრები ებრაელები ეროვნული წარმომავლობით ქართველები იყვნენ და ქრისტიანი ქართველებისაგან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებოდნენ.

შ. დადიანის რომანში ამ თვალსაზრისს დაბეჯითებით იცავს ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ვამეხ გვირგვილიანი. მისი მტკიცებით, „საქართველოში მცხოვრები ებრაელები იგივე ქართველები არიან. დაუკვირდი მათ იერს, მოყვანილობას, პირისახეს. ვერაფრით გაარჩევ ქართველებში და ეს იმიტომ კი არა, რომ მათში ქართველების სისხლი ურევია. კარგად იცი, თუ ამ შემთხვევებშიც როგორ მკაცრად იცავენ ისინი თავიანთ რჯულსა და ადათს. ქართველი ებრაელი არც აქეთ მოგათხოვებს ქალს და არც იქით ითხოვს; მათი ოჯახის კარებიც ქრისტიანებისათვის იშვიათად თუ გაიღება. ასე რომ, ვითომდა სისხლის შერევის გამო არა ჰგვანან ქართველებს. არა, ისინი თვითონ არიან ძირითადად შთამომავლობით ქართველები. მხოლოდ დღეს თუ სჯულისით ებრაელები არიან, ეს იმიტომ, რომ ძველად, ოდესღაც, ქართველების ერთ ნაწილს მიუღია ეს რჯული, ისე, როგორც შემდეგში ქართველების ნაწილმა მიიღო მუსულმანობა, კათოლიკობა თუ გრიგორიანობა. ამას, ცხადია, ჰქონდა თავისი საზოგადოებრივი წყობის, სოციალური და პოლიტიკური მიზეზები“.

მიუხედავად იმისა, რომ ებრაული თემა შ. დადიანის სხვა ნაწარმოებებში არ ასახულა, განხილული მასალა, ვფიქრობ, მაინც იძლევა საკმაოდ მყარ საფუძველს იმ აშკარად კეთილგანწყობითი და პატივისცემულური დამოკიდებულების ხაზგასასმელად, რითაც მეოცე საუკუნის ქართული მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ებრაელებთან დაკავშირებული.



(ბაბრძეშვილი. ღასაწმისი იხ „მ“ №6, 7, 8, 9)

ებრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიადელი შნეურ ზალმანის თეოსოფია იცხაკ ღავიდი

სხვათა შორის პოსტ-თალმუდისეულ ეპოქაში, შუასაუკუნეების იუდაისტური ჰალახის ერთ-ერთ ძირითად პოსტულად დადგენილ იქნა შემდეგი: კაცისა და ქალის შეუღლებისათვის მართალია სავალდებულოდ ითვლება საქორწინო წერილობითი აქტისა თუ დოკუმენტის შედგენა — გაფორმება, მაგრამ ამასთან სავსებითაა საკმარისი სქესობრივი აქტის (ებრ. ბეილა) ჩატარებით კაცის მიერ ქალის დაუფლება და ცოლად შერთვა. ე.ი. ამ შემთხვევაში, სქესობრივი აქტი ცვლის საქორწინო ფორმალურ აქტს.

ანალოგიურივეა ებრაელ წინასწარმეტყველებთან ღმერთის — იჰვჰ-ს და ისრაელის კავშირი. რასაც შეგვიძლია პირობითად ტრანსსექსუალაზიაციის ფენომენი ვუწოდოთ ბიბლიაში.

ამ სახით ინიშნება წინასწარმეტყველური მისტოლოგიის ამ ეტაპზე ღ-ისა და ერის კავშირის უზენაესი ფორმა — ლიბიდურ-ეროტიკული. (იხ. მაგ., 54:5 62:4,5).

რიგ შემთხვევებში, ერის ცნება მამრ. სქესშია მოცემული, მაგ. ისევ იეშაიასთან „ვეჭალახ ლეფანეხა ციდეკხა. ქევიდ იჰვჰ იეასფეხა“ — „და ნაგიდღევა წინ სიმართლე შენი. ღირსება ღ-სა შენ შემოგვიკრებს“ (58:8. 11).

თუ საერთოდ შეგვიძლია ვილაპარაკოთ თანახმის კაბალა-მესიანურ პრეზუმპციებზე, ამას უნდა შევეხებოთ იეშაიას 61-ე თავიდან. ამ მხრივ, ხსენებული თავი გარკვეულადაა სიმბოლურ-თავისი შინაარსით, სტრუქტურით, მიზანსახელობით, სიღრმით, შეგრძნებით — ემოციური განცდითა და დატვირთვით. საქმეზე, ესაა ნყალგამყოფი პუნქტი ებრაული ღმერთ-რეველაციისა, რომელმაც ყოველმხრივ მოიცვა შემდგომში აღმოცენებული და განვითარებული სულიერ-იდეოლოგიური მოძღვრებები და ფილოსოფიური სკოლები.

წინასწარმეტყველი ასეც აცხადებს: „რუახ იჰვჰ ელოჰიმ ალაი, ია ან მამახ იჰვჰ ოთი ლევასერ ანავიმ, შელახანი...“ ამ (61:1) აი, ჩვენეული თარგმანიც: „სული მარადმე. ღ-საა ჩემზე, რამეგუნელმცხო იჰვჰ-მ მე მივახარობლო თავმდაბლებს, გამოგზავნა მივუსალბუნო გულგატეხილებს, გამოვუცხადო დატყვევებულებს თავისუფლება და დატუსაღებულთ გამოსხნა“.

ეს ფაქტიურად სრული იდეოლოგიური პლატფორმაა: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური, სამართლებრივი. ესაა, მართლაც იდეოლოგიური ინფრასტრუქტურა მთელი ებრაული იუდაისტური ზედნაშენისა.

იეშაია განაგრძობს: „გამოვუცხადო იჰვჰ-ს წელიწადი შენდობისა და დღე შურისგებისა... რათა დავანუგემო ყველა მგლოვიარენი“ (61:2).

აქ ხსენებული. იდეოლოგიური პლატფორმა მილიტანტურ, შემტევით ხასიათს იღებს, შურისმგებლურს, სამართლისმადიებლურს.

იეშაიას ღმერთის მისტიური გონება კოსმოგენიური სტრუქტურის პრობლემასაც სწვდება. ღმერთი მისი პირით აცხადებს „აი, მე გავაჩენ ახალ ცეზსა და ახალ დედამიწას და აღარ მოიხსენიებინ პირველნი“ (65:17 66:22) ე.ი. ლაპარაკია ახალ კოსმოგენიურ სისტემაზე ძველთან მიმართებაში, რამდენადმე თითქოს იჰვჰ-ს ცნების დიალექტიკური განვითარების დიდი მაჯისცემია მოცემული, ღ-ისა რომელიც ცეცხლით ცხადდება და ქარიშხლებშია ეტლები მისი“ (66:15).

იეშაიას წინასწარმეტყველების ეპილოგიც რიგი კავკასიოლოგიური ცნებებითაა დატვირთული, როცა იგი ენებსა და ერებზე ლაპარაკობს. კერძოდ

თარშიშზე, ლიდაზე, მეშხ-მესხეთზე, თუბალიბერზე და ა.შ., რომლებიც შემსწრენი იქნებიან იჰვჰ-ს სასწაულებისა. (66:22).

ახალი სახე ეძლევა წინასწარმეტყველურ განცდას იერემიასთან „და შემახო ხელი პირზე იჰვჰ-მ და მითხრა, აი, სიტყვები ჩემი, მოვათავსე შენს პირში“ — აცხადებს იგი, ე. ი. ღვთაებრივი სიტყვა-ლოგოსის ხელშეხებითი, ხელრთვითი გადაცემა. (იერ. 1:9, 10).

იერემიასთან, მისი კოლეგის იეშაიასეული ეროტიკული კავშირი ღ-ისა ერთან ისტორიული მოგონების სახითაა გამოხატული, „ზახართი ლახ ხესედ ნეურაიხ, აჰავათ ქულოლოხაით...“ გაგისენე შენ (დედრ. სქ.) ნყალობა შენი ქალიშვილობისა, სიყვარული შენეული ქორწინებისა“ (31:2 2:2).

მეორეს მხრივ იმდენადაა მძაფრად განრისხებული ნალალატევი იჰვჰ რომ მოლალატე ერს, მიმართავს ვითარც როსკიპ, აღვირახსნილ მრუშ ქალს და სწორედ ისეთი ტაბუირებული ტერმინებით, რომლებიც გრაფემულად იწერებიან, მაგრამ არ იკითხებიან „ეფო ლო შუგალთ“ „სად არ იქენი გაუპატიურებული“ (3:2 შდრ. 5:8 29:23) რაც სიტყვა სიტყვით ნიშნავს, „სად არ გამხდარხარ სქესობრივი აქტის ობიექტი“.

საერთო მონოდება ღ-ისა შემდეგში გამოიხატება „ნუ იამაყებს ბრძენი თავის სიბრძნით და ნუ იამაყებს გმირი თავის გმირობით და ნუ იამაყებს მდიდარი სიმდიდრით, მხოლოდ ამით იამაყოს მოამაყემ — შემიაზროს და შემიცნოს მე, რომ მე ვარ იჰვჰ მკეთებელი ნყალობისა...“ აქაც „შემიცნოს მე“ სწორედ ტრანსსექსუალური გაგებითაა ნახმარი.

იერემია უცილობლადაა მესიანისტური წინასწარმეტყველი „აგერ დღენი მოდიან, ბრძანებს იჰვჰ და ნამოვუყენებ დავიდს მართებულ აღმონაცენს და იმეფებს ხელმწიფე და დაიაზრებს და მოიმოქმედებს სამართალსა და ქველმოქმედებას დედამინაზე“ (23:5 30:9 33:15).

იერემიას მსოფლმხედველობა დიდი პრაქტიკული პანთეიზმითაა დატვირთული, „აკი ზეცათ და დედამინას მე აღვაესებ — ბრძანებს იჰვჰ (23:24) ე.ი. ღვთაება მთელ სამყაროშია გაბნეული.

იერემიასთვისაცაა საცნაური კავკასიური აუზის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, იგი მიანიშნებს ისეთ ქვეყნებზე, როგორცაა ზღვისმიერი მიწები (ევერ-ჰაიაი, მიდია — ატროპატენია (25:25), სპეციფიკურია მისი მიდგომა ფელითიმ-ელევის (პალესტინელების) მიმართ, რომლებიც ეგვიპტელი ფარაონებისა და ჩრდილოელი ხალხების სამომარი ობიექტნი არიან, რამეთუ „შოდედ იჰვჰ ეთ ფელითიმ შეერთი ი-ქაფთორ“ — იავარჰყოფს იჰვჰ ფელითიმ-თ, ნაშთი ქაფთორის (კვიპროსი) კუნძულისას“ (47:4).

ფელითიმ-ნი ზღვის ხალხების შემადგენლობიდან იყვნენ და ისე გაქრნენ ანდა ასიმილაცია განიცადეს სემისტურ-ქანაანურ ტომებში, რომ მათი ენის ნიმუშებიც კი არ შემოგვრჩა სამწუხაროდ.

პარადოქსალური და საბედისწერო კი ის იყო, რომ მათი ეთნიკური სახელის კვალობაზე, ბერძენ-რომაელებმა პალესტინა შეარქვეს ისტორიულ ისრაელის მიწას, რაც შემდგომი, ფაქტიურად კი თანამედროვე პოლიტიკურ-ეთნიკური გაურკვევლობებისა და განხეთქილებების კვანძად იქცა თუმც იგივე წინასწარმეტყველის თქმით „ისრაელი დაიმკვიდრებს თავის მემკვიდრეთ“ (49:2).

საინტერესო ისაა, რომ ბიბლიური ფატალიზმის კვალობაზე, გეო-ეთნო-პოლიტიკურად ახლო აღმოსავლეთის (პალესტინა-სირია, ეგვიპტე, მესოპოტამია, ანატოლია) ხალხები ერთმანეთის მსხვერპლნი ხდებიან და ყველა ერთად კი მარცხდება და ნადგურდება ჩრდილოქვეყნელთა დიდი ერების საკრებულოს მიერ „კეჰალ გოიმ გედოლიმ“ (50:9), რომლებიც უპირველეს ყოვლისა სკვითები, კიმერიელები და კავკასიელი მეშხ-იბერები უნდა ვიგულისხმოთ, იმავე თავში დასძენს ერემია:

„აგერ ხალხი მოდის ჩრდილოეთიდან, ერი დიდი და მეფენი მრავალნიმჭერენი მშვილდისრისა და შურდულისა... ამხედრებულნი ცხენებზე...“ (50:41. 42), რაც სწორედ ჩრდილოკავკასიელი ტომების სამომარი აღჭურვილობის ეტიკეტს შეადგენს.

მომავალ ტომთა ეთნიკურ შემადგენლობას იერემია კიდევ უფრო აკონკრეტებს შემდგომ თავში, როცა წერს: „... გამოადვიდა იჰვჰ-მ სული მიდიის ხელმწიფეთა ბაბილონზე...“ (51:11) და შემდეგ, ცხადლივ და გარკვევით კავკასოგონიური გამოთქმა. (იხ. იერ.. 51:27, 28, 48) „აღმართეთ აღამი ქვეყანაზე, ჩაჰკარით ნალარას ერებში, დაახსავთ მასზე ხალხები, გაასმინეთ მასზე სახემწიფონი არარატისა (ურარტუ), მინისა (არმინია) და აშქენაზისა (სკვითეთი)... დაახსავთ მასზე ერები მიდიის მეფეთა. მისი ნაცვლებისა და მოადგილეებისა...“

ესაა სწორედ ის ურუატრი-ურარტუ, ძველ ლურსმნულ წარწერებში (მე-13 ს.), რომ გვხვდება და მე-9-8 სს ძლიერ სახელმწიფოდ ყალიბდება, ხოლო მე-6 ს-ში არმენიის (მინი, არმინა) სამეფოს წარმოშობას უთმობს გზას.

თავდაპირველად მიდიის, შემდეგ მასთან ერთად აქემენიდთა (ძვ. 1550) სპარსეთის მე-13 სატრაპია, 331-წელს ძვ. წ-ით ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის და 301 წლიდან სელევკიდების ნაწილია, 190 წლიდან იწყება ართაქსაიდების დინასტია დიდი არმენიისა, ტიგრან მეორის (ძვ. 94) ხანაში იგი გაერთიანებულია, არშაკიდების დინასტია გამგებლობს (ძვ. 63) რომ-პართიის ანტაგონიზმის ფონზე, საბოლოოდ ახ. წ. 390 წელს ჩამოყალიბდნენ ბიზანტ. არმენია და პერს-არმენია.

428 წლიდან მოყოლებული სპარსი მარზპანები ფლობენ არმენიას. 628 წელს ვარაზტიროტენ ბაგრატუნი გამგებლობს. შემდეგ კი მამიკონიანები და 806 წლიდან ისევ ბაგრატუნიანნი (ანში) არცრუნნი 908 წლიდან ვასპურაკანში, (შემდეგ კი სელჯუკები, თურქები...).

ამდენადვეა საგულისხმო, რომ როგორც იეშაიას, ასევე იერემიას აპოკალიპტიკური ჩვენებები კავკასიური გეო-ეთნიკური წრით იკვრება, ვითარც წყება იმ ხალხებისა, რომლებმაც საბოლოოდ უნდა იკისრონ იჰვჰ-ს სახელით შურისძიება და ისტორიულ-დეტერმინისტული ბედისწერის აღსრულება.

ეს ის პერიოდია, როცა იეშაია, შორეულ ქვეყნებს შორის იხსენებს არა მარტო ჩრდილოეთისა და ჩინელთა ქვეყნიდან მოსულთაც „მეერეც სინიმ“ (იემ.. 49:12).

ამ მხრივ თვალნათლივაც ცხადი, რომ იმდროინდელი წინასწარმეტყველური ამომწურავი გეო-ეთნიკური თვალსაწიერი არ გამორიცხავს საკუთრივ ებრაული-ჩინურ ურთიერთობებსა და საცნაურ ებრაულ გავლენას ჩინური ეთნიკური კოდექსის ჩამოყალიბებაზე, რაც ცალკე შესწავლის საგანია.

იეზიზკეელით (ძვ. წ. მე-6 ს.) იწყება უშუალოდ მისტიკური სისტემის გაფორმება, ასე თუ ისე დაკავშირებული დიასპორასთან, კერძოდ სამხრეთ კავკასიის არეალთან (მდ. ქევარ-ი), სადაც მან იხილა „ღვთაებრივი ჩვენებანი“ და ქარიშხალი მგვრგვინავი ამოვარდნილი ჩრდილოეთის მხრიდან, ცეცხლი ავარვარებული და შარავანდედი ერტყმის მას, რომლის შუაგულშიც ელექტრონია (ხაშმალ) ალისეული. მათგან გამოიკვეთნენ ჩვენებანი ოთხთა ცხოველისათა და სახეები ადამიანისანი... (იეზიზკე.. 1:1 - 11).

იეზიზკელთანვე ვხვდებით კაბალა-ზოჰარისეული კოსმოგონიის სტრუქტურულ საფუძვლებსაც, კერძოდ კი სეფირა-ს ცნებას, რომელიც მომდინარეობს ფრაზიდან „... მარე ევენ-საფირ“ (1:26) — ჩვენება საფირ-ის ქვასავით, — და შემდეგ დასძენს:

„ვითარც ჩვენება ცისარტყელასი, როცა ღრუბელში ჩნდება წვიმის დღეს, ასევე იყო შარავანდი გარშემო, — ეს იყო ჩვენება იჰვჰ-ს ღირსების სახეებისა, ვიხილე და პირქვე დავეცი და ვისმინე

რას ვპითხვართ უფროსს

ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს

მთავარი რაბინი

აბიშაი ბათაშვილი



ხანუქის დღესასწაულის მთავარი მიცვა

ბეთ ჰამიკდაში ენთო, ჩვეულებრივ და ბუნებრივ ვითარებას შეეფერებოდა, რომელიც სულიერ-ბაიყო გამეფებული. ასეთ ჩვეულებრივ ვითარებაში, როდესაც უფლის ნების შესრულება ყოველგვარი ხელის შეშლისა და დაბრკოლების გარეშე შეიძლება, შესაძლოა შვიდი სანთლის ანთება საკმარისი იყოს. მაგრამ როდესაც სულიერი სიბნელე იზრდება და მატულობს, არ შეიძლება შვიდი სანთლის ანთებით დავემყოფილეთ და მერვე სანთელიც უნდა ავანთოთ.

ხანუქის სანთლები ზუსტად სანაღმდეგო ძალების გაზრდისა და სიბნელის გაძლიერების ფონზე მოვიდა. მათი ანთება დადგენილ იქნა მას შემდეგ, რაც ბერძენებმა (როგორც რამბამი - რაბი მოშე ბენ მაიმონი ამბობს) „ავი გადაწყვეტილებები გამოიტანეს ისრაელის შვილებზე და მათი რელიგია გააუქმეს და მათ თორისა და მიცვების შესრულების საშუალება არ მისცეს... და დიდ ზენოლას ახდენდნენ მათზე“. როდესაც სიძნელები მრავლდება და სასურველი და ბუნებრივი მდგომარეობა რეგრესიას განიცდის, საკმარისი უკვე აღარ არის მენორის შვიდი სანთელი, შუქის მომატებაც არის საჭირო.

ფაქტიურად, ეს არის ხანუქის სანთლების მიზანი - სულიერ-ლთაებრივი შუქით გაანათოს მსოფლიოს სიბნელე, რომელიც ღვთიურ ჭეშმარიტებას ფარავს და მალავს. აქედან გამომდინარე, სულიერი სიბნელის მზარდ პერიოდში ამ მისიის შესრულება რომ შევძლოთ, მერვე - დამატებითი სანთელი გვექნა მოცემული.

ხანუქის სანთლების ანთების თადარიგი უფრო მეტად უსვამს ხაზს ამ თვალსაზრისს. ჩვენ ყოველდღე თანაბარი რაოდენობის სანთლებს კი არ ვანთებთ, არამედ თადარიგის მიხედვით, ყოველ დღე ვუმატებთ: პირველ დღეს ერთ სანთელს ვანთებთ, მეორე დღეს - ორ სანთელს და ასე შემდეგ. ყოველ დღე უმატებენ და აძლიერებენ შუქს მანამ, სანამ თითქოსდა სრულყოფილებას - მემვიდე დღეს აღწევენ, რომელ დღესაც შვიდ სანთელს ანთებენ ბეთ ჰამიკდაშის მენორის შვიდი სანთლის საპირისპიროდ. მაგრამ ამის შემდეგ, მერვე დღეს გვეუბნებიან: აანთეთ დამატებითი სანთელი - მერვე სანთელი!

ეს თვალნათლივ ასახავს სიბნელის სანაღმდეგოდ სინათლის გაძლიერების აუცილებლობას. ამ სიმბოლური დამასრულებელი აკორდით მთავრდება ხანუქის დღეები, რომლებიც უკან იტოვებენ თავისებურ მარადიულ ბრძანებას: არასოდეს არ ტყუპნოთ ადგილზე, არსებულთ არ დაკმაყოფილდეთ, ყოველთვის გამუდმებით მოუმატეთ სინათლეს. ყოველ უარყოფით მხარეზე დამატებას დადებით მხარეზე დაუმატეთ მანამ, სანამ სინათლე საერთოდ განდევნის სიბნელეს...

ამ ჩვენს დღეებში, როდესაც ქვეყნად რწმენის ერთგულებამ და ჭეშმარიტების ფასეულობებმა იკლო, რწმენის გაზრდითა და მისი გავრცელებით უნდა ვუპასუხოთ. იმ მოსაზრების სანაღმდეგოდ, რომელიც მიიჩნევს, რომ როდესაც წინააღმდეგობა მატულობს, გუდა-ნაბადი უნდა ავიკიდოთ და უკან დავიხიოთ. პირიქითაა სწორი: ზუსტად ამ დროს ზედმინევით უნდა ვუერთგულოთ თორისა და მიცვების შესრულებას ებრაული სიამაყით და რწმენისა და თორის ფასეულობები გარეთაც გავავრცელოთ.

ზუსტად ასეთ დღეებშია აკრძალული ისეთ ადგილების ჩარჩოებში ჩაკეცვა, რომლებიც დადებითი და დაზღვეული გვეგონია, მაგრამ გარეთ დაბერილმა უარყოფითმა ქარებმა შესაძლოა შიგნით შემოაღწიონ. გარეთ უნდა გახვიდეთ და სინათლე განავრცოთ, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი შინაგანი შუქის შენახვა და მისკენ იმათი მოზიდვაც, რომლებიც გარეთ იმყოფებიან.

ადაამანი შეიძლება დაფიქრდეს ყოველივე ამაზე და თქვას: თუ ბეთ ჰამიკდაშის დღეებში მოხდა, რაც მოხდა და განსაკუთრებული სასწაული დასჭირდათ, მაშინ ამჟამად, როდესაც ისრაელის ხალხი გარეთ არსებული მზარდი ძალების პირისპირ „მცირედ“ და „სუსტად“ ითვლება, განა არის იმის შანსი, რომ ამ მისიას გაართვას თავი და სინამდის შუქი იმდენად გააძლიეროს, რომ სიბნელე და სიბილნე დასძლიოს?

ამის პასუხი ხანუქის დღეებშია: კურთხეული უფალი ებრაელს განსაკუთრებულ ძალას ზუსტად იმისთვის აძლევს, რომ სიბნელის დასაძლევად შეიძინა კი არა, რვა სანთელი აანთოს, სახლის გარეთ დადოს და არა სახლის შიგნით იმ მიზნით, რომ ის დაბრკოლებები და შეყოვნებები დასძლიოს, რომლებსაც გზად აწყდებოდა. ჩვენ საჭირო ძალები მოგვეცა, მხოლოდ მათი პრაქტიკული გამოყენება უნდა შევძლოთ.

ამოს გამო არის ნათქვამი ხანუქის სანთლებზე, რომ ისინი „არასოდეს გაუქმდება“. ბეთ ჰამიკდაშის სანთლები გაუქმდა მაშინ, როდესაც სიბნელე მომძლავრდა, რასაც თან ბეთ ჰამიკდაშის დანგრევა და განდევნა მოჰყვა, მაგრამ ხანუქის რვა სანთელი, რომელთა დანიშნულებაც არის სიბნელეს გაუმკლავდეს და გაანათოს - ეს სანთლები „არასოდეს გაუქმდება“!

ხანუქის დღეების მთავარი მიცვა სანთლების ანთებაა. ხანუქის სანთლებს, როგორც ცნობილია, ჩვენ ვანთებთ იმ სასწაულის სამახსოვროდ, რომელიც მეორე ბეთ ჰამიკდაშის დღეებში მოხდა მას შემდეგ, რაც ბერძენებმა სასახლეში არსებული მთელი ზეთი ნაბილნეს, გარდა დიდი ქოჭინის ბეჭდით დაბეჭდილი პატარა ზეთის ქილისა, რომელსაც არ შეხებიან. კურთხეულმა უფალმა სასწაული მოახდინა და ეს ერთი პატარა ქილა ზეთი რვა დღის განმავლობაში მენორის (შვიდრტოიანი შანდლის) ასანთებლად აღმოჩნდა საკმარისი. ამ სასწაულის სამახსოვროდ ჩვენმა ნეტარხსენებულმა ბრძენებმა ხანუქის სანთლების ანთების მიცვა დაადგინეს.

თუმცა ზეთის ქილის სასწაული ხანუქის სანთლის ანთების პირდაპირი მიზეზია, მაგრამ ფაქტიურად საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: მიუხედავად იმისა, რომ ბეთ ჰამიკდაშის მენორას შვიდი რტო ჰქონდა, ხანუქის საკმარისი (რვარტოიანი შანდალს) რვა რტო აქვს და ჩვენ მასზე რვა სანთელს ვანთებთ.

თორასა და იუდაიზმში არაფერია შემთხვევითი. თუ ვხედავთ, რომ ხანუქის სანთლები, რომლებსაც ჩვენ ბეთ ჰამიკდაშის გარეთ ვანთებთ და ისინი ბეთ ჰამიკდაშის მენორის სანთლების რაოდენობას აღემატებიან - უეჭველია, რომ ამაში გარკვეული მნიშვნელობაა ჩამალული.

ეს ასე აიხსნება: შვიდრტოიანი შანდალი, რომელიც

ხმა მოსაუბრე“ (1:28).

ასე იწყება იეხიზკეელისეული მისტოლოგიაც „და მთამომეცვა მე სული“ (2:2 11:5, 24).

უფრო მეტიც ღ-ი უბრძანებს მას, „განახვენი პირი შენი და ჭამე, რასაც გაძლევი მე შენ და ვიხილე ხელი გამოწვდილი და მასში აგონი წიგნისეული გრავნილია და გავშალე...“ (2:8, 9) და მიბრძანა: „შვილო ადამიანისავ! ჭამე, ჭამე გრავნილი ესე და ნადი ელაპარაკე შვილებს ისრაელისას...“ (3:1-3).

ეს უკვე თვისობრივად ახალი ფორმაა წინასწარმეტყველებისა, არა მხოლოდ და არა მარტო სულთ-მოცხადება, არამედ, გაცილებით ნივთიერ-მატერიალური რამ — დანერვილი მეგილის — გრავნილის შექმნა და მისით მტყვევლება. იპვპ-ს ხელდადებასთან ერთად. (3:14, 22 8:1-3).

მისტიური ეროტიზმის იდეა იეხიზკეელსაც ეუფლება, რაც ბრწყინვალეაა გადმოცემული შემდეგ ფრაგმენტში (16:6-13):

„და გადმოვიარე შენზე და ვიხილე შენსავ სისხლში იგანლებოდი და გითხარი შენ: შენივ სისხლით იცოცხლებ... სიმრავლე მინდვრის მცენარესავით მიგეცი შენ და გამრავლდი და გადიდდი და მომეახლე სამკაულებით შემკული. ძუძუები წამოგეკვირტა, თმაც წამოგეზარდა და შენ იყავი ტიტველი და შიშველ და გადმოვიარე შენზე და ვიხილე და აი, ტრფილების ჟამი დაგიდგაშენ და კალთა გადმოვშალე შენზე და დავფარე აუგეულობა შენი და შემოგფიცე შენ და კავშირში შემოვედი შენთან... და დაგბანე წყალში და ჩამოგრეცხე სისხლი შენი შენგნით და შემოგასალბუნე ზეთში და შეგმოსე ნაქსოვით და ფეხთგაცვი ტყავი და თავმოგაბურე მარგალიტი და დაგფარე აბრეშუმით, და შეგკაზმე სამკაულით და ხარხლები მოგეც შენს ხელებზე და ყელ-

საბამი შენს ყელზე და ძეკვი მოგეც შენს ნესტოებზე, და საყურენი შენს ყურებზე და თავი შარავანდედისა შენს თავზე და შეიმკე ოქრო, ვერცხლი და შენი სამოსი მარგალიტია და აბრეშუმინი და ნაქსოვინი, ფქვილი, თაფლი და ზეთი მიირთვი და გალაშქრდი ფრიად და ფრიად და ხელმწიფე სამეუფეოდ...“

ამავე თავში იეხიზკეელი მძიმე, უკიდურესად მძაფრი ეროტიკულ-სქესობრივი ცნებებით აღწერს ისრაელს, ვითარც დედრ. ფაქტორის სიმრუშეს, როსკიპობას, გარყვნილებასა და გახრწნილებას. 35-ე სტროფში ასეც მიმართავს იგი ერს: „ლახენ ზონა, შიმ'ი დევარ იპვპ...“ ე.ი. „ამიტომ ბოზო, ისმინე სიტყვა იპვპ-სი...“, რასაც მოჰყვება გრძელი, გაბმული განაჩენთკითხვა დღეთა აღსასრულისა (შდრ. 18:6 22:11-12 20:32-35 23:3-4).

წინასწარმეტყველი თითქოს საკუთარი ერის სინდისიერი მსოფლმხედველობის სიმბოლო-ეტალონად იქცევა. იგი მეზობელ-გარემომდებარე ერებს მიმართავს და ქირდავს. შურისძიებას ჰპირდება ეგვიპტეს, ამონს, მოავს, ედომს, ფელიშთიმთ, რომლებსაც იგი იხსენიებს ქერთიმ-ის (კრეტა) კუნძულზე და ზღვის სანაპიროთა ნაშთად (25:15-17) შემდეგ ფინიკიის ისეთ დიდ ქალაქებს ეხება, როგორცაა ცორი (ტირა), რომელიც ბაბილონისა და ჩრდ. ხელმწიფეთა ცხენებით, ეტლებითა და მხედრიონებით იქნება გადალენილი (ჩანს სკვითების მიერ)(26:7-8).

საინტერესოა ერთი ენობრივ-კონცეპტუალური ფაქტი, რაც ებრაულ-ფინიკიურ მითოლოგიურ სახე-პერსონაჟს დაედო საფუძვლად, სწორედ ფინიკია-ლიბანთან დაკავშირებით.

(ბაბრამლევა იანვა)

სასამართლო ძრონიკა

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, 2012 წლის ივნისში სპორტულმა კომენტატორმა ჯ.ხუხაშვილმა ისრაელში, ქ.ხაიფის სასამართლოში აღძრა საქმე (№7900-06-12) მწერლისა და დრამატურგის გ. ბათიაშვილის წინააღმდეგ. ხაიფის სასამართლომ მოპასუხის შეუტყობინებლად (ვინმე ქონის ყალბი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე), მხარის დაუსწრებლად დააკმაყოფილა სარჩელი, მაგრამ ერთ თვეში თავისი გადაწყვეტილება გააუქმა.

2013 წლის 2 ივლისს ქ. ხაიფის სასამართლომ (მოსამართლე ნესრაე ადუი) კვლავ განიხილა საქმე, უარყო ხუხაშვილის სარჩელი და მომჩივანს გ. ბათიაშვილის სასარგებლოდ დააკისრა თანხის გადახდა.

ხუხაშვილმა ქვეყნიერებას მოსდო, სასამართლოში გავიმარჯვეო, თუმცა, შემდეგ არც მისი გაუქმების ცნობა გამოუქვეყნებია და არც 2013 წ. 2 ივლისის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ფულადი თანხის გადახდა დაავალა.

2012-13 წლების განმავლობაში ანუკვე საქართველოს ებრაელთა კონგრესის თანათავმჯდომარემ ჯ. ხუხაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში ექვსჯერ აღძრა საქმე გ.ბათიაშვილის წინააღმდეგ. არცერთი სარჩელი სასამართლოს მიერ მიღებული არ იქნა, ხოლო აგვისტოში აღძრული სარჩელი სასამართლომ მიიღო.

ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის განხილვა. უკვე გაიმართა ორი სხდომა — 22 ოქტომბერს და 21 ნოემბერს.

როგორც 21 იანვარს გამართულ სხდომაზე გამოიჩინა, ხუხაშვილს განზრახული აქვს სხვა პირებიც ჩართოს ბათიაშვილის წინააღმდეგ ჯერ კიდევ შაბთაი ცურის ელჩობის პერიოდში (2008წ.) წამოწყებულ ბრძოლაში.

გ. ბათიაშვილმა, რომელიც აქამდე იკავებდა თავის სასამართლო ორგანოებში საქმის განხილვისაგან, ამ დღეებში შეიტანა საპასუხო სარჩელი ხუხაშვილისა და მისი თანამდგომი ქართველი, თუ ებრაელი „მოღვაწეების“ წინააღმდეგ.

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტი

21-23 ოქტომბერს იერუსალიმში სასტუმრო „მეცუდათ დავიდი“ ჩატარდა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის კონფერენცია. აღმასრულებელი კომიტეტის წევრები გახლავთ კონგრესის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განიხილეს მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ებრაელთა მდგომარეობის საკითხები, მსოფლიოს ებრაული კონგრესი დასაბამიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ებრაელთა შევიწროების, ანტისემიტის ფაქტებზე. ებრაელთა ტრადიციებზე უარისთქმის ცდად მიიჩნევა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში წამოწყებული ბრძოლა შეხიბისა და ბრით-მილის წინააღმდეგ. ცხადია, აღმასკომის სხდომაზე ამ თემებზე იყო სერიოზული საუბარი, მაგრამ მთავარი განსასჯელი თემა მაინც ანტისემიტის გამოვლინებანი გახლდათ. ასეთი რამ კი შეინიშნება ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებშიც თანდათან ძლიერდებიან მემარჯვენე ნაციონალისტური პარტიები. ზოგიერთ სახელმწიფოში კი მათ საპარლამენტო (უნგრეთი „ჯობიკი“) მანდატებიც მოიპოვეს.

აღმასკომის მუშაობის პირველ დღეს პრეზიდენტ **როლანდ ლაუდერის** შესავალი სიტყვის შემდეგ პლენარულ სხდომაზე მოსმენილი იქნა სამი ქვეყნის ელჩის დისკუსია თემაზე: „ვაშინგტონ-მოსკოვი-ბერლინი.“ დიალოგში მონაწილეობდნენ აშშ ელჩი ისრაელში **დანიელ შაპირო**, რუსეთის ელჩი - **სერგეი იაკოვლევი** და გერმანიის ელჩი - **ან-**

დრეას მიჰელისი. საღამოს საგანგებო ვახშამზე კი აღმასკომის წევრებმა მოუსმინეს ქნესეთის საგარეო საქმეთა კომისიის ხელმძღვანელს **ავიგდორ ლიბერმანს** და ფინანსთა მინისტრს **იაირ ლაპიდს**. აღმასკომის წინაშე საყურადღებო მოხსენებებით წარსდგნენ: ისრაელის იუსტიციის მინისტრი **ციფი ლინნი** (მან დანერგა ისრაელში აბუ მაზენთან მოლაპარაკების თაობაზე), ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრი **ნაფტალი ბენეტი** და სხ.

უკრაინის, უნგრეთის ბულგარეთის, საბერძნეთის ებრაელთა მოღვაწეებმა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტებს გააცნეს ამ ქვეყნებში შექმნილი ვითარება ებრაელებთან მიმართებაში. დაიხატა სრული სურათი მსოფლიოს ებრაელთა არაერთგვაროვანი ყოფისა: თუ ზოგიერთ სახელმწიფოში ებრაელები ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევიან, ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს საკანონმდებლო, თუ სამთავრობო სტრუქტურები ცდილობენ იუდაიზმისათვის მიუღებელი ცვლილებები შეიტანონ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ იუდაისტურ ტრადიციას.

ვიცე-პრეზიდენტმა **გურამ ბათიაშვილმა** თავისი გამოსვლა ეროვნული იდენტიფიკაციის განმტკიცების საკითხს დაუთმო.

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესი იმუშავებს ამ ქვეყნების ხელისუფლებასთან, ყოველ ღონეს იხმარს, ზემოქმედება იქონიოს მასზე, რათა ამ ქვეყნების ებრაელთა ყოფა ნორმალურ კალაპოტში მოექცეს.

ბოდიშის მოხდის მოთხოვნა



— თურქეთში მასიური არეულობები ორგანიზებული იყო უცხოური ძალებისა და ებრაული დიასპორის მიერ ისინი ეჭვქვეშ აყენებენ ჩვენი ქვეყნის განვითარებას — ასეთი განცხადება გააკეთა თურქეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ბემირ ათალაიმ.

— არიან ადამიანები, რომლებიც ეჭვობენ თურქეთის წარმატებულ განვითარებას და ისინი იკრიბებიან ერთად, მათ შორის ებრაული დიასპორა, — თქვა ბემირ ათალაიმ.

ვიცე-პრემიერის აზრით, მიუხედავად ყველა ძალისხმევისა, მათ ეს არ გამოუვიდათ, რადგან ხალხი ყველაფერს ხვდება, თუმცა, ამავე დროს ასეთი გზით ებრაულ დიასპორას შეუძლია გავლენა მოახდინოს მასობრივი საპროტესტო აქციების წარმოქმნასა და ესკალაციაზე.

ეს განცხადება, გაკეთდა ერთ-ერთი რეგიონალური ოფისის სხდომაზე და გამოიწვია „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ შემფოთება, რომლის წევრი გახლავთ თურქეთში 23 000 ებრაული დიასპორის ზოგი წარმომადგენელი. ებრაულმა დიასპორამ თურქეთში ათაღიას სიტყვებთან დაკავშირებით. ოფიციალური განცხადება გააკეთა. პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ ებრაული დიასპორა აგროვებს ინფორმაციას, რეალურად რა ჰქონდა ათაღიას მხედველობაში.

მანამდე, პრემიერ მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა არეულობებში უცხო მთავრობები, „საერთაშორისო ფინანსისტთა ლობი“ და ტერორისტები დაადანაშაულა.

ათაღიას ანტისემიტურ გამოსვლაზე რისხვითა და აღშფოთებით ისაუბრა მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა რონალდ ლაუდერმა. ის მოითხოვს ათაღიამ დაუყონებლივ მოუხადოს ბოდიში ებრაელებს.

თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბემირ ათალაიმ უარყო რომ მან ებრაელებს დააკისრა პასუხისმგებლობა ქვეყანაში არსებულ არეულობაზე. მისი განცხადებით ჟურნალისტებმა განზრახ დაამახინჯეს მისი განცხადება.

„მე ყოველთვის ძალიან ფრთხილად ვარჩევ სიტყვებს და არ გავაკეთებდი ამგვარ განცხადებას ებრაელებთან მიმართებაში“, — განაცხადა ათალაიმ.

„შემოდგომა თბილისში“

ქართული საზოგადოებრიობა ერთობ სასიამოვნო მოულოდნელობის მონმე აღმოჩნდა — თბილისზე დაწერილი ახალი წიგნით ჩამოვიდნენ ისრაელელი მწერლები ჰედვა როკახი და ითაი ბაჰური.

ეს ორი ადამიანი პირველად 2007 წელს ჩამოსულა საქართველოში. ჩამოსულან როგორც ტურისტები, რათა გაცნობოდნენ, რადგან კავკასია ნაკითხული ლეგენდებითა და თქმულებებით ძალიან აინტერესებდათ.

ჩამოვიდნენ და ორი თვე დარჩნენ, მოეწონათ, შეუყვარდათ ეს ქალაქი, შემდეგ ისევ ეწვივნენ თბილისის და აი, დაიბადა საინტერესო წიგნი. დაწერა წიგნი შემდგომის თბილისზე, ეს არ არის ქალაქის მხოლოდ პეიზაჟის აღწერა, ჰედვა როკახი და ითაი ბაჰური მუშაობდნენ ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმებში, ეცნობოდნენ ქართული პოეზიის ინგლისურენოვან ანთოლოგიას.


10 ოქტომბერს ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში მოენყო ისრაელში ახლადგამოცემული ამ წიგნის პრეზენტაცია.

პრეზენტაცია გახსნა მუზეუმის დირექტორმა **ნანა ელიზბარაშვილმა**, მან ისაუბრა ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე და გულთადად მიესალმა წიგნის ავტორებს, მუზეუმის თანამშრომელმა **რუსუდე ჯაყელმა**, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ისრაელელ მწერლებს წიგნის შექმნაში, ისაუბრა ავტორებთან მუშაობის თაობაზე. საზოგადოებრიობას ჰედვა როკახისა და ითაი ბაჰურის „შემოდგომა თბილისში“ წარუდგინა მწერალმა, დრამატურგმა **გურამ ბათიაშვილმა**.

მან თქვა: — ძალიან სასიამოვნო ლიტერატურული ფაქტის მონმე ვართ. ყოველგვარი სახელმწიფოებრივი, გნებავთ შემოქმედებითი ორგანიზაციების ზრუნვისა და დახმარების გარეშე, ორმა ისრაელელმა მწერალმა შექმნა წიგნი თბილისზე, ქართული კულტურაზე, ქართული ლიტერატურის კლასიკოსებზე. მე ათი წელი გახლდით საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარე და ძალიან მიხარია, რომ კონგრესის პრეზიდენტის დაფინანსებით ებრაულ ენაზე ითარგმნა გალაკტიონ ტაბიძის ლექსები. მე ამ საქმეში ჩემი წვლილი შევიტანე. პროფესორებმა რეუვენ ენოხმა და ორციონ ბართანამ საგულდაგულოდ იმუშავეს გალაკტიონის ლექსების თარგმანზე, შემდეგ 2011 წელს ქ. თბილისის მერიისა და მწერალთა კავშირის ეგიდით იერუსალიმში ჩავატარეთ რუსთაველის კვირეული, ამასთან დაკავშირებით ებრაულად ითარგმნა ქართველ პოეტთა ლექსები, ისრაელელ პოეტთა ლექსები — ქართულად. და აი, ახლა, ეს შესანიშნავი, სქელტანიანი ალბომური ტიპის გამოცემა, რომელიც ისრაელში გამოვიდა. მე გამიჭირდება ზუსტად განვსაზღვრო თუ რა უნარისაა ეს წიგნი. ჩანახატები? დაბეჯითებით, ვერ ვი-



ჰედვა როკახი




ითაი ბაჰური

ტყვი, პროზა? ალბათ, ავტორები დღიურების სახით გვთავაზობენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, ურთიერთობას თბილისელებთან, თავიანთ დაკვირვებებს. ამით ისინი განაგრძობენ იმ ტრადიციას, რომელსაც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან ჩაუყარეს საფუძველი ევროპელმა მოგზაურებმა, რომლებიც საქართველოში ჩამოდიოდნენ და დღეს მათი დანატოვარი ერთობ ძვირფას დოკუმენტებად გვევლინებიან. და კიდევ ერთი გარემოება: წიგნი დაწერილია „ილი“ ივრითით, ჩემთვის ძლიერ სასიამოვნოა, რომ ამ წიგნისთვის ითარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ილიას, რაფიელ ერისთავის ლექსები. სასიამოვნოა, რადგან ეს ყველაფერი ემსახურება ქართული მწერლობის პროპაგანდას, ისრაელი ეცნობა ქართულ ლიტერატურას.

ჰედვა როკახმა და ითაი ბაჰურმა მსმენელთ გააცნეს წიგნზე მუშაობის პრინციპები, საინტერესო იყო მათი დაკვირვება იმაზე თუ რამდენი რამ არის საერთო საქართველოსა და ისრაელის ისტორიაში, რაც პოეზიაშიც, როგორც ისრაელელი, ასევე ქართველ პოეტთა შემოქმედებაშიც აისახა.

წიგნის ავტორებმა ისაუბრეს ქართულ სტუმართმოყვარეობაზე, საქართველოში გაცნობილი ადამიანების კეთილ დამოკიდებულებაზე. ქ-მა **მამა კიში** ისაუბრა წიგნის ღირსებებზე, ავტორთა ერთობ პასუხისმგებლურ დამოკიდებულებაზე ქართული სამყაროსადმი.

| | | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>დაგეგმიანი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57</p> | <p>რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთავრის რაიონის სასამართლოს შიპრ. რეგისტრაციის № 4/1-921</p> | <p>რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557  9771987898003</p> |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|